

ବିଜୁଳି



No 5



ଓଡ଼ିଆ ଲୋକାନ୍ତାତୀତି—ପୁନଃ ୦୯୮୦

1911

## ქინაარსი.

I—ეყატერინე გაბაშვილის სურათი . . . . .	1
II—მთესველს,—ღექსი გ. ჭუჩიშვილისა. . . . .	3
III—ეყატერინე გაბაშვილისა და იმის ბებიის სურათი . . . . .	4
IV—ერთი ეპიზოდი ჩემის ცხოვრებისა,—(მოგონება) ეპა- ტერინე გაბაშვილისა . . . . .	5
V—ეყატერინე გაბაშვილის მეთაურობით გახსნილი სკო- ლის სურათი. . . . .	11
VI—ეყატერინე გაბაშვილი (ფომოცი წლის მოღვაწეობის გამო) ად. მირიანშვილისა. . . . .	12
VII—პირველი ნაბიჯი,—შ. ქართველიშვილისა. . . . .	18
VIII—მზეს ეტრფოდე,—ღექსი გ. აბაშისპირელისა . . . . .	33
IX—ცეცხლი ნავთის ქარხანაში,—(სომხურით) შირვანზა- დესი თარგმანი გ. უ—ისა . . . . .	34
X—შირვანზადე,—(აღექსანდრე მოვსესიანი) გ. უ—ისა . . . . .	41
XI—ყვაველის დღესასწაული,—ა. წ.—ძისა. . . . .	44
XII—თეთრი სამოსელი, —(ზდაპარი) თარგმანი იტარი. . . . .	48
XIII—მონალის და ხოხობი,—(იგაზი) ად. მირიანშვილისა. .	57
XIV—ქიმია,—პაერი—პოლ ბერისა (თარგმ.) ნ. დომაურისა. .	58



# ରହର୍ମନ୍ଦିର

୧୯୧୧ ଜାନୁଆରୀ ଶତରୂପ

ପ୍ରକାଶକ ପାତ୍ର ପାତ୍ରପାତ୍ର.

୧୯୧୧, 1911 ଫ.



ମହାତେବିଲେଖଣ ପାତ୍ରପାତ୍ର

ପ୍ରକାଶକ ପାତ୍ର ପାତ୍ରପାତ୍ର.



# გინაპარსი.

I—ეკატერინე გაბაშვილის სურათი	1
II—მთესველს, — ღექია ბ. ჭავჩავილისა.	3
III—ეკატერინე გაბაშვილისა და იმის ბებიის სურათი	4
IV—ერთი ეპიზოდი ჩემის ცხოვრებისა,—(მოგონება) გა- ტერინე გაბაშვილისა	5
V—ეკატერინე გაბაშვილის მეთაურობით გახსნილი სკო- ლის სურათი.	11
VI—ეკატერინე გაბაშვილი (ორმოცი წლის მოდგაწეობის გამო) აღ. შირაანშვილისა.	12
VII—პირველი ნაბიჯი, — შ. ჭართველიშვილისა.	18
VIII—მზეს ეტრულე, — ღექია პ. აბაშისპირელისა	33
IX—ცეცხლი ნავთის ქარხანაში, —(სომხურით) შირვანზა- ღესი თარგმანი პ. ე—ისა.	34
X—შირვანზაღე, —(აღექსანდრე მოვსესიანი) პ. ე—ისა	41
XI—ყვავილის დღესასწაული, —აპ. წ.—ძისა.	44
XII—თეთრი სამოსელი, —(ზდაპარი) თარგმანი იტასი.	48
XIII—მონადირე და ხოხობი, —(იგავი) აღ. შირაანშვილისა.	57
XIV—ქიმია, —ჰაერი — ჰალ ბერისა (თარგმ.) ნ. ლომაურისა.	58

ტფილისი, ელექტრ.-მმპედ. ს. ლოსაბერიძისა მოსკ. ქ. საკ. სახ. № 5.



# მთესველი


უკრაინული  
პიმლიკის  
(უძღვნი ეკტერინე გაბაშვილს).

**2** უთნის დედავ!  
ჰჲა, ხომ ხედავ  
თვალით ნახულ  
შენს ჭირნახულს.

შეხე, რა რიგ ოქროს ფერად  
გააქვთ ბზინვა იმ თავთავებს?  
ყელს იღერენ,  
მზეს უმღერენ,  
შეჰერიან მის ვარსკვლავებს.


შენც იხარე,  
ენა ტკბილო,  
ინეტარე  
ღვაწლ-მოსილო!

მაღლიერი  
მთელი ერი  
აღტაცებით ეძლევა ლხინს,  
და ჩვენც, შენით  
ბეღნიერი,  
მოგილოცათ დაფნის გვირგვინს.  
გ. ჭუჩიშვილი.






ଏକାତ୍ମକାନ୍ଦୁନେ ଘାଗାଷବିଲୁଷ ଓ ଉଥିଲେ ଧୋନୁଷ ଶୁଖାତିଲୁ.



# ერთი ეპიზოდი ჩემის ცხოვრებისა.

(მთგონება)



ედა აღრე მომიკვდა. სულ ხუ-  
თის წლისა არ ვიქნებოდი მა-  
შინ და დიდიდედასთან ვცხოვ-  
რობდით მე და ჩემი უმცროსი  
ძმა სოსიკა ქ. გორში.

დიდმარხების მიწურულები  
იყო. მთელის ოჯახის ავლა-  
დიდება სულ კარზედ გამოფი-

ნეს გასაბერტყად, გასაწმენდად, გასამზევებლად. ოთახებში-კი  
გვა და წმენდა იყო გაქანებული. ბებია ჩემი ბარბარე თავს  
ადგა ჩვენს გოგო ანას და ბიჭს სოსიკას და ნახერხით ახეხი-  
ნებდა იატაკებს, ავვეინებდა ჭერებს, თახებს, არეცხინებდა  
კარ-ფანჯარას.

ერთის სიტყვით, ყოველი კუთხე სახლისა და ყოველი  
ავეჯი ოჯახისა გაიხეხა, გაირეცხა, გაიწმინდა და საღლესა-  
სწაულოდ გამოეწყო. ჩვენი სადგური — სულ ორი ოთახი — სწო-  
რედ მორთულ პატარძალს დაემზავსა. თეთრად შეღებილ  
დარბაზში ფანჯრებზედ თეთრი აღაბნის ფარდები ჩამოჰკიდეს.  
ძველებურ გახრევილ და გახუნებულ ტილო-გადაკრულ ავეჯს  
თეთრი მიტკლის საურები გადააფარეს. დივნის წინ დიდი





— ქალბატონს ვახლავარ! — სთქვა და დაბლად თავში კურიოსით ქუდი მოიხადა, ზრდილობიანად კარებს ახლო გა-ჩერდა.

— გაგიმარჯოს, ჩემი გიორგი! — მხიარულად მიესაღმა ბებია სოფლიდგან ჩამოსულს მოურავს და თან შეეკითხა: — უეჭველია, სააღდგომო ძლევნებს ჩამოვიტანდი?!

— დიაღ, შენი ჭირიმე, მოგართვით. აბა, ბატონის სამ-სახურს წინ რა დაუჯდგებოდა! ორი აკიდებული ცხენი და ბი-ჭები ეზოში დფანან და, თუ გვიბრძანებთ, ხურჯნებს ჩამოვ-ხსნით და შემოვიტანთ.

— ძრიელ კარგი! ხურჯინები ჩამოხსენით, ცხენები და-აბინავეთ და მოდით, ერთად ვისადილოთ. ჩვენც საქმეში გა-ვერთენით, სადილი დაგვიგვიანდა და ძრიელ გვშიან. ოქვენ მოტანილს სადილ შემდეგაც დავათვალიერებთ. იმედია, პირს არ შეირცხვენდით და კარგის ნუზლით მოხვილოდით?

— კარგით, კარგით; მე და ჩემმა ღმერთმა! ისეთი დედ-ლები მოგართვით, ისეთი, რომ თქვენი მოწონებული. ბურვა-კები ხომ რაღა! სულ ქონი გასდით იმ დალოცვილებს.

— მაღლობელი ვარ, მაღლობელი! — კმაყოფილებით უთ-ხრა ბებიამ. — წადი, ჩემი გიორგი, ბიჭებიც შემოიყვანე.

ანამ გლეხებს ჩვენის ტახტის მახლობლად ჭილობი გაუ-შალა, ხონჩით პურები მწვანილი და ლობიოს სირსვეელი და-უდგა, გლეხებიც შემოვიდნენ. ბებიას სალამი მისცეს და სუ-შუველანი შეუდექით ჭამას. გიორგიმ ხურჯინიდგან, ჯერ-ჯე-რობით, მარტო მოზღიული ტიკჭორა ამოილო და სოსიკას მო-ტანილ დოქში წითელი ღვინო ჩამოასხა. დიდხანს ისხდნენ სუფრაზედ ქალბატონიც და გლეხებიც, მეგობრულად ბაასობ-დნენ სოფლის ავ-კარგს და თან ნელ ნელა შეექცეოდნენ წი-თელ იმერულ ღვინოს, რომელსაც სოსიკა გულმოდგინედ უსხავდა ქალბატონსაც და ყმათაც. მე და ჩემი მმა კი მალე წამოვტით სუფრიდგან და გატენილ ხურჯინებს დაუწყეთ გარშემო ტრიალი. ცნობის მოყვარულობა დიდი გვქონდა,



მაგრამ მაგრად გადასალტულს ხურჯინებს ვერას გზით ვერ შეუველით.

როდის-როდის სუფრა აალაგეს და გიორგიმ და იმისმა თანამეზავრებმა ხურჯინებს პირი მოხსნეს.

ორი დიდი კალათით კვერცხი, ოცხე მეტი გასუქებული დედალი, ორი უშველებელი ბურვაკი, რამდენიმე ცხრა და ბრაწული ნაზუქი და პირ-გაჭრილი გამტკაცული პური, რამდენიმე კვერცხური ყველი და ბოლოს კვერცხ-წასმული ორი „კვეკვერა“ ჩემთვის და ჩემის ძმისთვისა. სუსყველა ეს დააწყეს დიდ თაბებზედ და ხონჩებზედ. ბებია ჩემი კრიალოსნით ხელში ტახტზედ იყო ჩამომჯდარი და კმაყოფილებით ათვალიერებდა სუსყველაფერს.

— ღვინო ყველამ ვერ იშოვნა თქვენ მოსართმევად და, აი, იმათ კომლზედ თითო აბაზი მოგართვეს,—სთქვა ბოლოს გიორგიმ და ჯიბილგან ლურჯი ხელსახოცი ამოილო, იმის წვერში გამოკრული რამდენიმე აბაზი გამოსხნა და ბებია ჩემს გადასცა.

— თითო აბაზი რა არი! — ცოტა უკმაყოფილოდ უთხრა ბებიამ. წრეულს განა თუნგი ღვინო აბაზად ფასობს?

— ჰო, შენი ჭირიმე. აბაზზე მეტი არა ღირს ჩვენებური ღვინო და წესიც ასეთია ყოველთვის...

— კარგი, კარგი. წრეულ იგრე იყვეს,—და შეუდგა მონატანის განაწილებას. ორი დედალი და ცხრა კვერცხი თავის მოძლვარს გაუგზავნა, ორი დედალი და ცხრა კვერცხი — ჩემს ოსტატს მაიკოს, თითო ქათამი — ვილაც ნათესავებს და დანარჩენი საკუჭნაოში შეატანინა. ბურვაკები ააჩეხინა გიორგას, სამწვადეები „ბასტურმად“, ზირა-პილპილ-მარილ მოყრილი და ხახვით შეზავებული, დიდ ქაშანურის ქილაში ჩაალაგებინა სოსიკას, ფეხები, ნეკნები და კუდუსუნი სამუჟუჟედ დიდის ქვაბით მოსახარშად ცეცხლზედ შესდგეს. დანარჩენი დაამარილეს, გვარჯილა დააყარეს და თაბებზი ჩაალაგებული სალორედ შეინახეს. ჩვენ დიდის ცნობის მოყვარეობით თვალს ვადევნებდით სუსყველაფერს და ძილი ფიქრად არ მოგვდიოდა.



როცა სუკველაფერი დააბინავა ბებიამ, მხოლოდ შაშინ გავახსენდით ჩვენც და დასაძინებლად ზემო სართულში აგვიყვანა. იქ ტახტზედ გაშლილ ლოგინში ჩაგვაწვინა და თითონ კი ხელში დიდი, ტყავ-გადაკრული სახარება აიღო, ტახტის ბოლოს მოკეცა, ხელში წმინდა სანთელი აიღო და იმის შუქზედ ხმა-მაღლა კითხვა დაიწყო. ბებია ჩემი სობეჭი იყო, მაგრამ, როგორც გორში გაზდილმა და დაბერებულმა, სომხური არ იცოდა და ყოველთვის ქართულ სახარებას კითხულობდა, კითხულობდა ძველებურად გალობის ხმით და ჩვენც ეს გალობა ნანასავით ჩაგვესმოდა და ტკბილად ჩაგვეძინა.

ჯერ დილის რიერაჟიც არ იყო, რომ ჩვენს სახლში ერთი ალიაქოთი ასტყდა. ბებია ჩემი საშინლად ყვიროდა, ილანძლებოდა, ვიღასაც განკარგულებას აძლევდა:

— დაიჭით, შეჭკარით, გათოკეთ!

ყველანი დარბოდნენ, საჩქაროდ იცვამდნენ. მე თვალებდაჭუეტილი ვიწევ და ვერ მომეაზრებინა, თუ რა ხდებოდა ჩვენს სახლში. ბოლოს ყველანი გავიდნენ, ოთახში მე და ჩემი პატარა ძმა დავრჩით. ჩვენ შიშით ერთმანეთს მივეკარით და ღრიალი გავაბით.

— რა იყო, რა გატირებო, თქვე სამგლევბო,— დაგვიშტიალა ანა გოგომ და პირზედ საბანი დაგვაფარა და თითონ ისევ თახიდგან გავიდა. თანდათან ნათლდებოდა, ჩვენც ავდექით და, ნახევრად ტიტვლები იქით წავედით, საღაც ყველანი მიეურებოდნენ.

ქვემოდ, საკუჭნაოს კარებში, შეგროვილიყვნენ ყველანი: ჩვენი ოჯახის წევრნიც, გლეხებიც და რამდენიმე ჩვენი მეზობელიც. კუთხეში ქონის სანთელი ბუუტავდა და ძლივს ანათებდა აქ შეკრილ აღელვებულ და აყაყანებულ ადამიანებს. ჩვენ ვაი-ვაგლახით გავარღვიეთ ამ ხალხის მჭიდრო წრე და თავს წავადექით ხელ-ფეხს შეკრულ ყმაწვილ რუსს—სალდათს, რომელიც მიწაზედ ეგდო და საშინელის ხმით ბლავოდა:— „გამიშვით, გამიშვით!.. კაკ ბოლ, ნე ვინოვატ, ნე ვინოვატ...“



— ახ ტი საბაკ, მამაძაგლა! — ვითომ და რუსულად ეუბ-ნებოდა ბებია ჩემი და, რაც ძალი და ოონე ჰქონდა, შეშის ვეებერთელა ნამორით უჯლუგუნებდა გვერდებში. — ნე ვი-ნოვატ? — მაშ, ღორის ფეხი ვინ ჩაგიდო უბეში? შე, მამაძა-გლა, მაშ ჯიბეები ვინ აგივსო წითელის კვერცხებით?! ახ, ტი დურაკ, საბაკ, ხახოლი! — და კვლავ წაპრა შეშის ნა-მორი. ამ ჯერად შეშის ნაჭერი ჭურდს ცხვირში მოხვდა და ცხვირიდგან სისხლი შადრევანივთ წამოსკდა და ზედ პირზედ შეესხა ბებია ჩემს და რამდენიმე წინწალი მეც მომხვდა ხე-ლებზედ.

მე აქამდინ პირ-დალებული ვიდექ და საშინელ სიბრა-ლულსა ვგრძნობდი, თვალები ცრემლებით მევსებოდა და ყო-ველ დაბლუილებაზედ ხელ-ფეხ შეკრულის ტყვისა გული მი-თრთოდა; ამ სისხლის წვეთებმა კი ჩემის აღშფოთების ფიალა აღავსო, გააფთრებული მივვარდი ბებიას და მარჯვენაზედ უკბინე, რომლითაც ადამიანის სისხლი დააჭცია და თან შევ-ყვირე: ჩვენ რვა დიდი ფეხი გვაქვს, ათასი წითელი კვერცხი და მაგას რო ერთი წეელო, რა იქნებოდა?... ბებიამ ხელი მკრა, მე დავტორტმანდი, მიწაზედ დავეცი და გულს შემო-მეყარა.

როდესაც გონს მოველ, ისევ ზემო სართულში ვიყავი, ჩემ ლოგინზედ ვიწექ და საწყალი ბებია ჩემი გულ-გახეთქილი თავს დამტიროდა.

— რუსი სად არის? — პირველი ჩემი კითხვა ის იყო.

— რუსი შენ და შენს ეშმაკებს! — პირზედ ღიმილით მი თხრა ანამ, რომელიც ბებიას გვერდით იდგა და იმაზე ნაკლებ არ იყო შეწუხებული ჩემის ავალმყოფობით. — შენ რომ წაიქ-ცი, გულს შემოგეყარა, ყველანი შენ მოგეხვიერით და იმ „პანკრუტამ“ თოკები დაწყვიტა და თავს უშველა!

ეკ. გაბაშვილისა.



კარინინგ გაბაშვილი და მისი თაოსნობით გახსნილი ჭრა-ყერვის საწავლებლის მისაწევლენი. კატეტინს მარჯვენა კარინინ უსულად ქართველი მოლვაზე ჭალები, თანამდებომელი და დამჩქმარენი სკოლის მოწყობა-ხელმძღვანელის საკუთრი.

# ეპატერინი გაგაშვილი.

(მის 40 წლის მაღვაწეობის გაშო)



არსებოւ 1910 წელს შესრულდა ორმოცი წელიწადი მას შემდეგ, რაც ეკატერინე გაბაშვილმა პირველად აიღო ხელში კალამი სამშობლო ქვეყნის სამსახურისთვის; ორმოცი წელიწადია,— ეკატერინე იღვწის სალიტერატურო ასპარეზზედ; ორმოცის წლის განმავლობაში გვებაასება, გვაფხიზლებს და გვიზიარებს თავისს აზრს, გრძნობას, სურვილს; ორმოცის წლის განმავლობაში ესარჩეობა ყოველს დავრდომილს, ქვრივ-ოხერს, დაობლებულს; თვალწინ გვიხატავს მათ საშინელს, აუტანელს და ტანჯვა-წვალებით სავსე სიცოცხლეს, რომ ამ გზით ჩვენს შორისაც მოუპოვოს თანამგრძნობნი, შემბრალებელნი და მოწყალენი.

ვისაც წაუკუთხავს, თუნდა, მისი „მაგდანას ლურჯა“, „თამროს შეხვედრა“, „ოჯახის ბურჯი“, „საახალწლო სურათი“, „როგორ მიეგება სვიმონა ახალწელიწადს“ და სხვ. მის-თანები, ადვილად მიხვდება, რომ ჩვენს სასიქადულო ეკატერინეს წადილს უნაყოფოდ არ ჩაუვლია, რომ იმედი არ გას-ცრუვებია, რომ მისმა ფიქრმა და გრძნობამ ჩვენში შესაფერი ნიადაგი მოიპოვა; რომ მისმა ხანგრძლივმა უანგარო შრომამ ბევრს ჩვენგანს გაულვიძა და ჩაუნერგა ადამიანური მისწრაფე-

ბანი, განგვიმტკიცა და დაგვაყენა აღამიანურ მოვალეობის მიზანისას აღსრულების გზაზედ.

ამის მაჩვენებელია, სხვათა შორის, ის გარემოება, რომ ამ წლის 1-ი მაისი მთელმა საქართველომ და, კერძოდ, მისმა დედა-ქალაქმა სიამოვნებით, სიხარულით, ეკატერინესადმი პატივისცემით აღვისილ გულით იდლესასწაულა მის ღვაწლის გათვალისწინება, მისი სამშობლო ერისადმი სამსახური და ღმერთს შევედრა მისი ხანგრძლივი სიცოცხლე და კეთილდღეობა.

**ქ**ატერინე გაბაშვილი დაიბადა 16 ივნისს 1851 წელს ქ. გორში, სადაც მაშინ მისი მამა სასამართლოს მდივნად მსახურებდა. იგი იყო თავადი რევაზ ბაალურის-ქ თარხან-მოურავი, ანუ შემოკლებით თარხნიშვილი, ტფილისის კეთილ-შობილთა სასწავლებელში (ეტლანდელი 1 გიმნაზია) წარჩინებით კურს-დატავრებული. იყო დიდად ნაკითხი, გონება-განვითარებული, უზომოდ კეთილი და სხვის პიროვნების თაყვანის-მცემელი ადამიანი. დედა ეკატერინესი, სოფიო, იყო თავადის ვახტანგ ბაგრატიონ-დავითიშვილის ასული. რევაზი ჯერ 27 წლის ყმაწველი იყო, როდესაც ერთ რაღაც ძნელისა და ბნელის საქმის გამოძიების დროს ჭკვაზედ შეიშალა.

რასაკერვველია, სახელმწიფო სამსახური უნდა მიეტოვებინა და, როცა ბევრის მზრუნველობისა და წამლობის შემდეგ უკედ შეიქმნა, კერძო ვექილობა დაიწყო და ჩინებული-დაც იცავდა აღებულს საქმეებს. მაგრამ რევაზის ავადმყოფობამ იმსხვერპლა მისი ცოლი, სოფიო, რომელმაც ვერ იტანა ჯერ ქმრის საშინელ სენის ცეკვა და მერე მისი მოვლა-პატრონობა. დედის გარდაცვალების შემდეგ, ჩვენი ეკატერინე რჩება სუთის წლისა და მასთან ერთად მისი მშა—ორის წლისა.

ამ პატარა ობიექტის პატრონობა იყისრა მათმა ბებიამ, ბერბარემ, ბაგრატიონის ცოლმა, ტომით სომხის ქალმა. ეს



ბებია საშინელი ანჩხლი, სასტიკი და თავის-ნაოქვამი ლურჯა კულტურული იურიდიკული მის წინაშე თრთოდნენ, არამც-თუ პატარა ობლები, არამედ თვით მათი მამა რევაზიც-კი, რომელიც შვილების გულისათვის უნებლივედ ემორჩილებოდა დედაბის თვითნებობას.

პატარა ბალლების მდგომარეობა უფრო მწარდება მას შემდეგ, როცა ორის წლის ქვრივი რევაზი მეორედ ცოლს ირთავს: ეს დედინაცვალი შეტად გულ-ქვა დედაკაცი გამოდგა, რომლის ქცევამაც ქმარს დაუბრუნა ისევ წინანდელი სენი - ამ მიზეზის გამო, თვით ეკატერინე ბრძანებს: „ჩემი სიყმაწვილე თითქმის დაუშრეტელ მწუხარების წყარო იყო.”

მანც რევაზს, როდესაც-კი თავის სენის ბრჭყალებისა-გან განთავისუფლებული იყო ხოლმე, დიდი ზნეობრივი გავლენა ჰქონდა პატარა ეკატერინეზედ: უზომო მშობლიურ სიყვარულს უჩენდა თავისს ასულს, ებაასებოდა, უკითხავდა, ულსნიდა, არიგებდა და აცნობდა გონივრულ ცხოვრების ამა თუ იმ კერძობას.

რევაზი იყო ნამდვილი, კეთილი მეგობარი პატარა ეკატერინესი და თავისის ცოდნა-გამოცდილებით მუდამ სულიერად ასაზრდოებდა. ამიტომ მამის მეგობრობა ეკატერინესა-თვის უკეთესი წამები იყო მისის ყმაწვილობისა.

ეკატერინე სწავლობდა ტფილისში ქ.-ბ. ჭავრის კერძო პანსიონში, სადაც სწავლა დაამთავრა 1868 წელს. მას შემდეგ მიჰყო ხელი თვით-განვითარებას, რაშიაც ძლიერ ხელს უწყობდა ერთი განათლებული ნათესავი ახალგაზდა კაცი და ბევრნი სხვა საუკეთესო ნაცნობნი. მათის ხელმძღვანელობით ეკატერინემ გადიკითხა მრავალ წარჩინებულ მწერალთა თხზულებანი, რომელთა შორის არა-უკანასკნელი ადგილი ეჭირა ინგლისელ ფილისოფოსს სპენსერს. ისე ძლიერ აღეძრა ეკატერინეს სწავლის წყურვილი, რომ უნივერსიტეტისათვის მზადებაც-კი დაიწყო. ამავე დროს სხვა კეთილ-საქმისათვისაც



ზრუნავს: სამშობლო სოფელში ჰმართავს ქალების სკოლა, საცა ასწავლის ქართულსა და რუსულს მუქთად. მუქთადვე ასწავლის სკოლის გარედ ყველა მსურველ ქალებს და დაუზარებლად პფენს სწავლის შუქს ჩვენს დაბეჭავებულ სოფლის გლეხობაში.

თანაც გაფაციცებით ადევნებს თვალს ქართულ ლიტერატურას და ზედმიწევნით გაიცნობს ჩვენის მწერლების ნაწერებს. 1870 წელს ეკატერინემ პირველად თვითონაც დასწერა პატარა მოთხრობა გლეხთა ცხოვრებიდან და, აი, აქედან დაწყობილი დღემდე დაუღალავად ემსახურება ქართულ ლიტერატურას. 1872 წელს ეკატერინე მისთხოვდა ალექსანდრე ზაქარიას-ძეს გაბაშვილს და დღეს სავსეა შვილებით და შვილის-შვილებით.

ბუნებით თავ-დაბალი და ცნობის-მოყვარული ეკატერინე სოფელში ხშირად ყოფნის დროს ტრიალებს გლეხების ოჯახებში, დაახლოვებით ეცნობება მათს ცხოვრებას, გაჭირვებას, ვაებას; ხშირად იგონებს თავის მკაცრ ბების უდიერ და უსამართლო მოპყრობას გლეხებისადმი, რომლებიც მის დედის საკმაოდ დიდს მამულზედ მოსახლეობდნენ; ამ მამულს განაგებდა ეს ბებია; კატოს ახსოვს თავისი და პატარა ძმის ობლობის დღეები. ამიტომაც მის მოთხრობებში ასე ხშირად ვხვდებით საწყალ გლეხის, ქვრივ-ოხრების და პატარა ობლობის ტანჯვა-ვაების დასურათებას და აღწერას.

საქართველოს თავისს წარსულ ცხოვრებიდან ბევრის ქალის სახელი ახსოვს, რომელთაც მის სამსახურის და წარმატებისათვის თავი დაუდვიათ, სიცოცხლე შეუწირავთ.

ამ სახელთა ნუსხას, სიას დღეიდგან დამშვენებს კიდევ ერთი სახელი—ეკატერინესი.

ჩვენდა სანუგეშოდ, უნდა აღვიაროთ, რომ დღეს ქართველ ქალთა შორის ეკატერინეს მოეპოვება არა ერთი და ორი ამხანაგი და თანამშრომელი. სამშობლო სიხარულით და გაფაციცებით ადევნებს თვალს ამგვარ ქალთა რიცხვის გამრა-



ვლებას, მათზედ ამყარებს კეთილ მომავლის იმედებს შეიძლოს მოელის ახალთაობის სიყრმიდგანვე ჯეროვანს კალაპოტში ჩა-  
ყენებას და მის გონივრულს საოჯახო აღზრდა-სწავლებას.

ალ. მირიანაშვილი.



ეკატერინე გაბაშვილს საიუბილეიო დღესასწაული გაუ-  
მართეს ქართულ თეატრის დარბაზში. რასაკვირველია თეა-  
ტრი გაჭედილი იყო ხალხით და ადგილის უქონლობის გამო  
ბევრიც დაბრუნდა შინ გულდაწყვეტილი. ყველის ენატრებო-  
და ამ დღეს ეკატერინეს ნახვა; იმის მოსიყვარულე, სიმპატიით  
სავსე სახე ამ დღეს რაღაც განსაკუთრებულის მადლით და  
შვენებით იყო აღმეცდილი. არც ერთ ფოტოგრაფიულ სუ-  
რათს არ ძალუს გადმოგცეთ ადამიანის სულის მოძრაობა,  
იმის სულიერი „მე,“ ამიტომაც არც ერთი სურათი ეკატერი-  
ნესი იმის სულს ვერ დაგანახვებთ. ეკატერინეს ნახვა, განსა-  
კუთრებით ამისთანა დიდებულ დღეს, მართლაც რომ სანა-  
ტრელი იყო: მშვენიერი სანახავი იყო, როცა ფარდა იხადა  
და ყვავილებითა და მცენარეებით ლამაზად მორთულ სცენა-  
ზე, სადაც ისხდნენ და იდგნენ მრავალი დეპუტაციები და  
ქართულ ტანისამოსით მორთული მომღერალთა გუნდი, ჩვენ-  
მა სასიქადულო მგოსანმა აკაკიმ გამოიყვანა იუბილიარი ხალ-  
ხის წინაშე, თავ-თეთრი მოხუცი ეკატერინე მოდიოდა მდაბ-  
ლად, მორცვად გაღიმებული. ბავშვებთა პატარა გუნდი ყვა-  
ვილებს უფენდა მას ფეხქვეშ. მომღერალთა გუნდი სალამს უგა-  
ლობდა.


შეს სცენაზე აკაკი შეჩერდა. შესწყდა გალობა და აკაკიმ  
მოკლე გრძელობიერი სიტყვით გამოსთქვა, რა ვალი ედვა ქალს  
ძველად ერის წინაშე და რა ვალი ადევს ახლა. შემდეგ მიუ-  
ლოცა დღესასწაული იუბილიარს, როგორც ამ ახალ მოვა-


ლეობის მაჩვენებელ მწერალს. ამ დროს, ოფიციალურ ყოველი მუზეუმი მოიხსენის მინაშე თავი მოიხარა და ლირსეულ მოძღვარს ხელს ემზორა; თითქოს ეუბნებოდა:— შენ, შენ გეკუთვნის მოელი დიდება და აღტაცება, შენ მინათებდი გზას, შენი მაგალითი მასულდგმულებდა, ერის დიდებავ, დიდო მგოსანო აკაკი, შენ წინაშე მე მცირე ვარო.— ბევრს გული აუჩუყა და ცრემლი მოჰვევარა ამ ნაირმა თავ-მდაბალმა საქციელმა. ყველას დავიწყა, რომ იქ იდგა ქალი და მამაკაცი, არამედ თვალ-საჩინო ჰყო ის, რომ იქ ქართველ ხალხის წინაშე იდგა ორი ადამიანი, ორი სიამაყე ქართველი ერისა, უფროსი დიდებული მგოსანი აკაკი და უმცროსი დიდი მწერალი ეკატერინე გაბაშვილი.

შემდეგ ეკატერინეს მიულოცეს ქართველი ერის სხვა და სხვა დაწესებულებათა და რედაქციების წარმომადგენლებმა.

„ნაკადული“-ს რედაქციამაც რასაკვირველია მიულოცა ორმოცი წლის სამწერლო ასპარეზზე მოღვაწეობა და უსურვა კიდევ მრავალ წელს სიცოცხლე ქართველი ერისა და მოზარდ თაობის საბერნიეროდ.

პირველად, სანამ მილოცვა დაიწყებოდა, სცენაზე ითამა-შეს ეკატერინეს მოთხრობიდან ამოღებული ერთი ჩინებული სცენა— „ნიშნობა“ სოფლად. მწერლებმა ს. ზგალობლიშვილმა და გ. დიასამაძემ წაიკითხეს ეკატერინეს მოთხრობები და ჩვენმა მწერალმა და პედაგოგმა ნ. ლომაურმა— ეკატერინეს და მისი მოთხრობების დაზ ასიათება.





## პირველი ნაბიჯი.

(უძღვნი დაუუნია აბაშიძეს).



ნკენითვის ნახევარს გიმნაზიაში მიმრეს. ჩემს სიხარულს და ოლტაცებას საზღვარი იტა ჰქონდა: ან-კი როგორ არ გამხარებოდა? გიმნაზია იმ უკანა-სკნელ ხანებში სიზმარშიაც კი მელანდებოდა.

ამხანაგ-მოკლებულსა ჩემის ტოლებით სავსე საწავლებელი მრმზილველ დაწესებულებად მეხატე-ბოდა.

მთელი ჩემი ბავშვობა ერთ პატარა სამაზრო ქალაქში გავატარე, რომელიც მხოლოდ ზეფხულობით იქსებოდა ხალ-ხით, რაღანაც ძალიან სასიამოვნო სამყოფია ამ დროს თა-ვის მშენებელ ბუნებით და მდებარეობით. ზამთრობით კი იქ სიცოცხლე თითქმის მთლად ჰქონდოდა.

ოჯახში ერთად ერთი ბავშვი ვიყავი. მთელ დღეობით ფანჯრიდან ან ცარიელ ქუჩას გავუურებდი და ან კიდევ, მო-

თმინება დაკარგული, დიდედას ვეჩხუბებოდი, მაგრამ იშას გა-  
ჯავრების მეტს რას გამოვრჩებოდი; მართალია, დრო-გამო-  
შვებით დედა სტუმრად წამიყვანდა, მაგრამ იქ ან სრულე-  
ბით ბავშვები არა ჰყავდათ, ან ისეთი პატარები იყენენ, რომ  
უფროსებთან უფრო მეტი საერთო მქონდა, ვიდრე მათთან.  
გაზაფხულობით ცოტა გამოვცოცხლდებოდი იმ იმედით, რომ,  
დღეს თუ არა, ხვალ მოვლენ ჩემი მევობრები და, აბა, მაშინ  
იხარე, სულო და გულო: ციბრუტივით ვტრიალებდი მოელ  
ზაფხულს. მაგრამ არა სწრაფად მირბის დრო, როცა ტკბილად  
ატარებ! თვალის დახამხამებას ვერ მოვასწრებდი და აგერ უკ-  
ვე უკითლდება მწვანედ მობიბინე ფოთლები და მწიფდება  
ტკბილი, ქარვის ფერი ყურძენი. მართალია, ტკბილი, მაგრამ  
ჩემთვის კი მწარე მახარობელი შემოდგომისა.

გული სიმწარით ამევსებოდა, როცა დილ-დილაობით  
მომესმოდა მეეტლის სალამურის ტკბილი ხმა, ჩემთვის მწარე  
მოთქმა; ვგრძნობდი, აი, ამ წამს გვეთხოვებიან ზაფხულის  
სტუმრები და მათთან ერთად სცილდება ჩვენს ქალაქს სიცო-  
ცხლე და მიმზიდველობა მეთქი.

ახლა ხომ ადგილი გასაგებია ჩემი სიხარული, როდესაც  
გამომიცხადეს, 13 ენკვინისთვიდან შეგიძლიან სასწავლებელში  
სიარულიო. ერთის მხრით, გიმნაზიაში შესვლა მიხაროდა, მეო-  
რეს მხრით კიდე ის, რომ ტფილისიდან ჩემ ქალაქში დაბრუ-  
ნება აღარ მომიხდებოდა. პირველი ჩემი სურვილი იყო მიმე-  
კრა თუნუქის ასოები, დაფნის ფოთლებში მხატვრულად ჩარ-  
თული, რუსები გერბს რომ ეძახიან, ქუდზე—მაგრამ საჭირო  
ქუდი არა მქონდა და პირველ ჩემ მისწრაფებად ლურჯ-თეთრ  
ქობიანი ქუდი გადაიქცა. მერე როგორ ვაჩქარებდი დედას  
იმის ყიდვას. მაგრამ არა გაუგებრები არიან ხოლმე დედები!  
დავიწყებიათ თავისი ყმაწვილობა და გაკვირვებით ეგებებიან  
ბავშვების სულ-სწრაფობას. აი, მეც ასეთი საქმე დამემართა,  
ვერა და ვერ მიხვდა ჩემს გულისწადილს დედაჩემი:— „რა გე-  
ჩარებაო, ხვალაც ეს დღე არის, გიმნაზიაში წასვლის წინ

გიყიდიო.“ რა მექნა—ძალა აღმართსა ჰენაეს, მეც დაწერილი ჩილე ძალას; ოცნებაში გავატარე გაუთავებელი დღე—აღარ თავდებოდა დალოცვილი, ასე ჰგონია, ეძნელება ჩემთან და-შორებაო და ფიქრობდა:— „უკანასკნელად გხედავ ულურჯ ქუ-დიანათ, ხვალ კი სულ სხვა იქნებიო.“ მაგრამ ყველას დასა-სრული აქვს. ამ დღესაც ეგ ბედი მოელოდა.—დაღამდა. და-მაძინეს, მაგრამ დიღხანს არ დამეძინა, თვალები ჭირში მეონ-და მიჩერებული და რა ფიქრებმა არ გაიელვა ჩემ გახურებულ ტვინში: აგრე მივეჩერები ლურჯის ქუდით და ვერცხლის ფოლაქებიან ტინასამოსში გამოწყობილი, ხალხი მარტო მე შემომცერის და ფიქრობს:— რა ყოჩალად მიდის ეს პატარა ბიჭი, მერე როგორ უხდება ლურჯი ქუდით. მე ყურადღე-ბას არავის არ ვაჭცევ და მედიდურად მივეჩერები დანიშნულ ადგილისაკენ.— აგრე გამოჩნდა წითელი შენობაც; შევედი შიგ, მომეგებნენ ამხანაგები და მასწავლებლები მომლიმარე სახით:— „სადა ხარ, კაცო, აქმდინ როგორ არ მოგაგონდით, ჩვენ-კი გელით და გელით!“

— განა მე კი არ ვესწრაფებოდი თქვენკენ, გენაცვა-ლეთ,—უპასუხე მე,— მაგრამ არ მიშვებდნენ.— ამხანაგები ნა-დღვლიანად აქნევენ თავს, მაგრამ უცბად, ბედნიერ აზრით გა-მსჭვალულნი, გარს მეხვევიან და აღტაცებით იძახიან: „ახლა ხომ ჩვენი ხარ, ჩვენთან დარჩები, მაგრამ ამისთანა ბედნიერე-ბა არ გვჯერაო!“

მე ვარწმუნებ, უსათუოდ დავრჩები მეთქი და ჩემ და იმათ სიხარულს საზღვარი არა აქვს.

წარმომიდგა პირველი გაკეთილი, გამომიძახეს. — აბა, თა-ვი არ შეირცხვინო, — ვფიქრობ მე.— „მომიგეთ,“ — მეუბნება მასწავლებელი, — მიუგე და მერე როგორ მიუგე! ამხანაგები განცვითრებაში არიან, მეუბნებიან,— შენ გამოჩენილი კაცი იქნებიო.

— უთუოდ,—უპასუხე თამამიად.

— ეს მარტო შენა ხარ თუ კიდევ სხვაც არის?!— მკითხა-

ვენ ღიმილით მეორენი.—შე ვარ მეთქი—უპასუხებ და ვტკოჭურითავა  
დები ჩემ ადგილის. ამხანაგებს უკვირთ: „რა ყოფილხარ!“—  
მეც აბრუს არ ვიტეხ, მაგრამ გულის სილრმეში კი, ჰედავს  
ლმერთი,—ვფიქრობ და ვკვირობ, მართლა რა ვყოფილვარ  
მეთქი. სადამდინ წავიდოდა ფიქრთ ფერხული, რომ ფან-  
ჯრიდან ჩუმად შემოპარული ამომავალ მზის შუქი თვალებს  
არა სცემოდა. შევარდენივით წამოვხტი. — ვაიმე, დავიგვიანე, —  
ვფიქრობდი ფერ-წასული, მაგრამ ჩქარა დავმშვიდდი, — მთელ  
სახლს ჯერ არხეინად ეძინა. ფანჯარასთან მივჯექ და დედის  
გალვიძების მოლოდინში გასწვრივ ცქერა დავიწყე. მტკვრის  
მარჯვენა ნაწილი თვალწინ მეშალა. მოელ ქალაქს ეძინა,  
მხოლოდ ჯერ კიდევ ბინდში გახვეულ ქუჩებში გამოჩნდე-  
ბოდნენ ხოლმე აქა-იქ ატუჭული დარაჯები; მაგრამ აგრ  
ნელ-ნელა აირივნენ სოფლელნი მწვანილით დატვირთულ  
სახედრებით. ეს პირუტყვნი ამ ქალაქის ნაწილში მამლის და-  
ნიშნულებას ასრულებდნ. მათი სასიამოვნო მღერა აცნობებდა  
სიზრებში გართულ მზარეულთ, დილის საათმა დაჭკრა და  
მეტი ძილი აღარ გამოგადგებათო. ჩვენი სახლიც ახმაურდა.  
არ გასულა საათ-ნახევარი და მე, უკვე ლურჯ ქუდით გა-  
მოწყობილი, მივეჩქარებოდი სასწავლებლისკენ.

აგრ მივედი კიდეც და ვაპირებდი უზარ-მაზარ გიმნაზი-  
ის კარების გაღებას, რომ შემეხტია მაღალი, ტან-ჩასმული,  
ულვაშებ მოპარსული კაცი, ბჭყარიალა ბუზმენტით მოვლე-  
ბულ ქუდით თავზე და უზარ-მაზარ ფოლაქებით ლურჯ ტან-  
საცმელზე. ღიმილით გზა მითავაზა; მაშინვე ვიგრძენ, ეს  
კაცი დირექტორი უნდა იყოს მეთქი, და მორიდებით ქუდი  
მოუხადე (ჩემი ახალთ-ახალი ქუდი) და ფეხი ფეხს შემოვკარ,  
როგორც ზრდილობა მოითხოვდა; მან კვლავ გამიღიმა და  
უფრო დაბლა დამიკრა თავი.

— რა პატიოსანი ხალხია მეთქი! — ვრფიქრე და მადლო-  
ბით შევხედე.

კიბეზე რომ ავდიოდი, შემხვდა ერთი ძველი ნაცნობი,

რომელსაც ხშირად ვხვდებოდი ხოლმე ზაფხულში პატარა ქალაქში. წამავლო ხელი და წამიუკანა ჩვენის კლასისაკენ.

მიუახლოვდით ყვითელ კარებს, რომელზედაც რომაული ციფირები ეხატა; მივხვდი, რომ ამ ოთახში ლათინურს ასწავლიან, მაგრამ თურმე ვსცდებოდი.—როგორც მერე გავიგე, ეგ მხოლოდ იმას ნიშნავდა, თუ რომელ კლასს ეკუთვნის ეს ოთახი.

შევედით. შიგ ორმოცამდე თავ-შავა და თავ-ყვითელა ბიჭები მიეგებნენ ჩემ ნაცნობს. მე კი ჯერ ამხედ-ჩამომხედეს გაკვირვებით, მერე კი გულიანად მორთეს სიცილი. ერთი თავ-შავა ბიჭი მიუბრუნდა ჩემს მეგობარს და ღიმილით ჰკითხა:

— ეგ წიგნების აკიდო რომელ სხვენში იპოვნე?

მე ჯერ აზრს ვერ მიუხვდი, მაგრამ ვიგრძენ კი იმის სახის მეტყველობაზე, რომ ჩემ შესახებ ამბობდა, მხოლოდ არ ვიცოდი, მწყენოდა თუ არა.—ვაი, თუ ვიწყინ და საწყენი კი არ იყოს, ხომ შევრცხვები; და თუ საწყენია და არ ვაწყინე, ეგ ხომ ჩემს უხეირობას დაამტკიცებს მეთქი. მართლია, მერე მივხვდი, მაგრამ რაღა დროს!

საქმე ის იყო, რო მე—არა მცოდნემ—რა გაკვეთილები მექნებოდა, ყველა საგნების წიგნები თან წავიდე. ორივე იღლია გავსებული მქონდა და, თუ პირ-წავარდნით აკიდოს არა ჰგავდა, მაინც და მარც ბევრი საერთო კი ჰქონდა. ჩქარა მოისმა ზარის წკარუნი და მირჩიეს, სადმე ადგილი დამეჭირა. მე კი გაჭიმული, წიგნებით ხელში, კარებთან უძრავად ერთ და იმავე ადგილას ვიდექი.

— დაჯექი სადმე,—მომიბრუნდა და მოწიწებით შემეხვეწა შავ-თავა მოწაფე, აკიდოს რომ შეადარა ჩემი წიგნები: — მხარი დაუმშვენე ვისმე, ორემ საკაა მასწავლებელი მოვა და, ეგრე გამოჭიმული რომ დაგინახოს (მაღალის ტანისა ვიყავი), გული გაუსკდება და გაიქცევა!

საზოგადოდ გულ-ჩვილი ვიყავი და ადვილად დავთანხმდი

მის თხოვნას. — აბა, ამხანაგების ცოდვაში რად ჩავმდგარ უკუკრატიკული გამაკვირვა მასწავლებლის სიმხდალემ და, ცოტაა არ იყოს, ეჭვის თვალით შევხედე ჩემს ახალ ნაცნობს, მაგრამ მის გულ-უბრყვილო სახეზე ეშმაკობა სრულებით ვერ წავიკითხე.

. კარის ჭრაჭუნი მოისპა, მოსწავლენი უცბად აიშალნენ თვის აღგილებიდან და მიაცერდნენ კარების მტკრით აბმულ მინას. მეც ავდექი და მივაჩერდი იმავე აღგილს. გამოჩნდა შავ ტანსაცმელში გამოწყობილი, პატარა, ყვითელ-სახიანი კაცი; ერთს წამს არ გაუვლია... კარი გაილო და შემოვიდა აჩქარებულის ნაბიჯით, მაშინვე ვიცანი, რუსულ ენის გამოცდაზე ეს კაცი მკითხავდა კრილოვის იგავ-არაქს და მახსოვს, დავინახე თუ არა, მაშინვე მელიას მივამგზავს; ახლა ხომ სულ დავრწმუნდი, რომ მელიასთან ბევრი და ბევრი საერთო ჰქონდა. ჯერ ერთი: გალეული, წინ-წასული ცხვირ-პირი, დაუდევარი თვალები, რომელნიც ერთს წუთს ვერ ისვენებდნენ თვის ბუღში და ხან ერთს მოწაფეს, ხან მეორეს მიაჩერდებოდნენ; მიხვრა-მოხვრა ხომ სულ მელიისა ჰქონდა.

— შენი გვარი, — მკითხა, როგორც კი შემასწრო თვალი, სახელი. მიუვე.

— საქმე ის არის, ჩემო ახალო მეგობარო — მომიბრუნდა რამდენსამე წუთს შემდეგ, — რომ დღეს საწერი სამუშაო ავაქვს იმ მოთხრობის შესახებ, რომელიც გავაცანი კლასს წარსულ გაკეთილზე, — ამიტომ ნება გაქვს, მუშაობაში მონაწილეობა არ მიიღო!

მე ეს, ცოტა არ აყოს, არ მომეწონა. — პირველ დღესვე ჩემ გიმნაზიაში მისვლისას რომ არაფერი გავაკეთო, ეს ხომ ცუდად დამეკვებება მეთქი. მერე თუ ამოდენა ხალხი სწერს, მე რაღა ტიკი-ტომარა ვარ მეთქი, მით უმეტეს, რომ მოთხრობა ოდესალაც წაკითხული მქონდა. — მართალია, იმის გარჩევას არ დავსწრებივარ, მაგრამ ვანა ისე სულელი და უშნო



ურთიერთობი  
უკავშირობა

ვარ, რომ ჩემთავად ამას ვერ შევძლებ? „ეცადე—მეტქნი! გა—  
ვამხნევე უჩუმრად ჩემი თავი.

— ნება მომეცით, დავწერო! — მიუბრუნდი მასწავლებელს —  
სამელნე გადმომაწოდე წავჩურჩულე გვერდით მჯდომს და  
შეუდებელ წერას. — მერე როგორ ვწერდი: ნათელი აზრები ერ-  
თი მეორეს ისე ლამაზად ეწყობოდა... — მერე რა მოხდენილი  
შესავალი წაუმძღვარე! — რა მშვენიერის დასკვნით გავათავე! —  
ვგრძნობ, წარმოლგენილი მაქვს, ნათლად ვხედავ, რა ალტა-  
ცებით წაიკითხავს ამაღამ მასწავლებელი ჩემს რვეულს — რა  
ლიმილით გადმომცემს ხვალ უკანვე უზარმაზარ ხუთიანის ნი-  
შნით და როგორ შემაქებს. მივიღებ ქებას, როგორც დამსა-  
ხურებულ ფასს — მაგრამ სრულებით არ შევიმჩნევ — არა-  
ვინ არ უნდა გაიგოს, რომ მიხარიან.

ისე გავიდა საათი, რომ თავი მაღლა არ ამიღია — ვწერ-  
დი და ვწერდი. ამ ფრიად მეცნიერულ მდგომარეობიდან ზა-  
რის წყარუნმა გამომარკვია. მასწავლებელმა დაუარა მოწავე-  
ებს და რვეულები გამოართვა, ზოგიერთს აჩქარებდა: „ნუ მა-  
გვიანებო;“ ზოგიერთს სტუქსავდა: „რა ჭუჭყიანი, ულაზათო  
რვეული გაქვსო.“ მე რომ მომიახლოვდა, თამამად გაუწოდე  
ლურჯი, ახალთ-ახალი, მტრედივით სუფთა რვეული. რომ მარ-  
თმევდა, ლიმილმა გადურბინა სახეზე. — ვიფიქრე: . იცინე — იცი-  
ნე, ჩემო კეთილო, მკვეხარა გვონივარ, მაგრამ ცოტა, ძა-  
ლიან ცოტა მოიცადე, რა ძირიანად შეიცვლება ეგ აზრი  
ჩემს შესახებ.“ მართალია, შეიცვალა, მაგრამ .. მასწავლებელ-  
მა ჯერ კიდევ ვერ მოასწრო კლასიდან გასვლა, რომ ამოდე-  
ნა ხალხი ერთბაშად იაშალა და ეცა კარგებს. მეც რას ჩამოვ-  
რჩებოდი. ჩავედით უზარ-მაზარ ეზოში, მაგრამ ჩასვლა ვერ  
მოვასწარით, რომ უკანვე დაბრუნება მოგვიხდა. ის უსვინი-  
დისო ზარი ძალიან მოუთმენელი და ყბედი არსება გამოდგა.  
მინამ მასწავლებელი კლასში იმყოფებოდა, იმის შიშით მთელს  
საათს პირ-გაქმენდილი იყო, მაგრამ როგორც კი თამაშობა  
მოვინდომეთ, ხუთი წუთიც ვეღარ მოითმინა დალოცვილმა,



დააღმ პირი—რეკა და რეკა. რალას გავაწყობდით; მარტო უცხოული მოყვარულობის გამო, მაგრამ რაც შეეხებოდა ჩემს ამხანაგებს, ეს არ ითქმის.

მეორე გაკვეთილი ისტორიისა გამოდგა; ძალიან მიამა. ისტორია ყველა საგნებს მერჩივნა. რამდენი ტკბილი წუთი მოუძღვნია ამ საგანს ჩემთვის. ფანტაზიით ფრიად დაჯილდოვებული ვიყავ და, როცა რომის ისტორიას ვსწავლობდი, რომაელად გადავიქცეოდი ხოლმე, როცა საბერძნეთისა—ათინელად.

გამოფუტურულ გამხმარ კვახით თავზე, უზარმაზარ ჭიგოთი ხელში, კიუინით დავეტაკებოდი ხოლმე კიბის ქვეშ მდგომ ქვევრს, რომელსაც ოცნება გადააქცევდა ხოლმე აღვილად მტერთა ციხედ, ან ციხეში ჩასაფრებული ე. ი. ნაფოტით სავსე ქვევრში ჩამდერალი, რა უშიშრად და დაურიდებლად ვტყუორცნიდი ხოლმე მტერთა გემებს ცოცხიდან გამოძრობილ ისრებს! წარმოდგენილი მქონდა, რომ ისტორიის მასწავლებელი, ან რომაელს უნდა ჰგავდეს, ან ძველ ბერძენსა; ეგრეც გამოდგა. ჩექნი მასწავლებელი მაღალი, მშვენიერის სახისა, ზედ გამოჭრილი ბერძენი იყო. „რა კარგი კაცი უნდა იყო“ მეთქი, გავიფიქრე გულში და ჩქარაც დავრწუნდი, რომ ეს ასე იყო. ჯერ ერთი—ჩემ ამხანაგების სახეზე იმის დანახვა სიამოვნების ნიშანსა ჰხატავდა, ე. ი. ლიმილს, რომელიც გაკვეთილის ბოლომდე შერჩათ. და ეს ხომ იმას ამტკიცებდა, რომ მასწავლებელი უყაროთ. ისინი კი უუდს არ შეიყვარებდნენ. მოწაფენი, საზოგადოდ, ძალიან ფაქიზის გემოვნების ხალხია. მერე კიდევ ის, რომ მასწავლებელი ხუმარა კაცი გამოდგა და ამაზე კარგს რალას ინატრებს მოწაფის ბუღიდან ამომხტარი გული.

— აბა, გაგვაკვირვე, გვიამბე რამე,—მიუბრუნდა შემოსვლის უმალ ჩემს გვერდით მჯდომ ეშმაკის თვალებიან ბიჭს.

— პირველი მოწაფე იქნება,—ვიფიქრე გულში.



— დღეს ვერ შევძლებ, — ცოტა შეკრთოမით မი။

— မაინც სცადე, — გაიმეორა မასწავლებელმა, მაგრამ ახლა იმისთანა კილოთი, რომ უარის თქმა შეუძლებელი იყო. სცადა, მაგრამ ვაი ამ ცდას! — გააბა და გამოაბა, აურ-დაურია, რომაელები საბერძნეთში გადაასახლა და ბერძნები იტალიაში დაამკვიდრა.

” დაიღუპა საწყალი“, ვიფიქრე და შებრალებით შევხდე.

— კმარა, კმარა, — შეაწყვეტინა ღიმილით მასწავლებელმა, — რა უბედურებაში ჩაჰყარე ეგ ხალხი, ცოტა შეიბრალე, ერთს კვირას გაძლევ ვადას, — განაგრძო რამდენსამე წუთს შემდეგ, — ყველა თავის ადგილზე დააბინავე და მერე მიამბე! მეორედ აღარ მოიქმედო ეგ საქმე, — დააბოლავა დარიგების კილოთი მასწავლებელმა.

— რა მიზეზით დაეცა ტროას ქალაქი? — მიუბრუნდა და ჰყითხა კლასს; რამდენმამე ხელი აიშვირა. მე რაღად ჩამოვრჩენოდი სხვებს უკან? — მეც ავიშვირე, — მაშ, მითხარ, რა მიზეზი იყო? შემეცითხა მე.

— არ ვიცი, ვსთქვი პასუხად. — მართლაც, რაღაც არ მასოვდა ამ სამწუხარო შემთხვევის მიზეზი.

— მაშ, ხელი რად აიშვირე?

— ი... ი... ისე...

— მაშ, სულელი ყოფილხარ, — ღიმილით მითხრა.

— არა მჯერა, — უთხარი მე.

— დამერწმუნე, — დაამთავრა მან და მეც, რას ვიზამდი, დავთანხმდი.

საკვირველია, ამ ქათინაურმა სრულებით არ დამალონა, არც ჩემს კუუა-გონების ეგრე მკაცრად დამახასიათებელზე მომივიდა გული და ამის მიზეზი უნდა ყოფილიყო ჩვენის მასწავლებლის ღიმილი, რომლითაც იგი დაასკვნიდა ხოლმე ყოველ თავის წინადადებას. მართალია, ღიმილიც არის და ღი-



მილიც, ზოგი ღიმილი—შეზავებული დაცინვით, ძალიათაროსებრავა სასიამოვნოა. მაგრამ ჩვენის მასწავლებლის ღიმილში მხოლოდ სიყვარული გამოიხატებოდა ჩვენდამი და ვის არ მოულბობდა გულს. მე, როგორც ვთქვი, რაინდულად დაუხვდი ამ შეუ-რაცხვოფას. უფრო გასაგებად რომ ჭსთქვათ, გულთან ახლო არ მივიკარე. რაც შეეხება კი ჩემს ამხანაგებს, იმათ ძალიან გულით მოეწონათ ესეთი ჩემი გაკენწლა.

— რა ლამაზი, ხმოვანი გვარი გქონია, — თავის ქნევით, მარცვალ-მარცვალ გამოთქმით მომიბრუნდა ამხანაგი.

— სცდები, ჩემო კარგო,—უპასუხე წარბ-შერჭმითა, — ჩე-მი გვარი სულ სხვა არის.

— ჩემი მეზობელი ურჩობდა.

— წელან მომატყუე, ახლა კი ნამდვილად გავიგე. მაინც და მაინც ტყუილის თქმა არ გეყადრება, — დაასკვნა თავის ქნევით.

როცა შევატყე, რომ სიტყვით ამ უსვინიდისო კაცთან ვერას გავხდებოდი, უფრო ნათელ დამამტკიცებელ საბუთით გაუმასპინძლდი, — მუჯლუგუნი ვკარი გვერდში. მიმტყუნა ბედ-მა და მასწავლებელმა თვალი არ შეასწრო ჩვენ საუბრის და-მთავრებას! ყური კი არ მოჰქრა, როგორც საზოგადოდ მი-ღებულია, არა, თვალი შეასწრო, რადგანაც საუბრის ბოლო უფრო იღვილი დასანახი იყო. ვიდრე გისაგები. თავი დავღუ-ნე. ჩქარა მომესმა ნაცნობი ხმაც.

— ეგ რა ვნახე! ოი, სირცხვილი, სირცხვილი! რათა შვრებით მაგ საქმესა?

— არ გამცე, — შემეხვეწა ჩემი მტერი და, რომ უფრო გაეჭრა ამ თხოვნას ჩემზე, მუშტიც მომიღერა. წამოვდექი, მა-გრამ ხმა კი ვერ ამოვიღე.

— მოდი მაგას ნულარ იზამთ, ცოტა არ შეეხება ჩვენს საგანსა, — მითხრა მასწავლებელმა. ამაში კი ვერ დავეთანხმე: ისტორია წარმოდგენილი მქონდა განუწყვეტელ მუჯლუგუნად.

ხან ბერძნები რომაელთ წაპტავდნენ კისერში, ხან სპარსელები ათინელთ უთავაზებდნენ კაი-კაის.

— ნულარ იზამთ,—გაიმეორა მასწავლებელმა. თანხმობის ნიშად, თავი დავაკანტურე და მეორედ მიუძღვენი მუჯლუ-გუნი ჩემს მეზობელს, რომელსაც შემთხვევით ესარგებლნა და ჩემს რვეულზე ჩემთვის სრულიად არა სასიამოვნო სიტყვა დაეწერა.

გაკვეთილის მეორე ნახევარი მოთხოვობას მოანდომა მა-სწავლებელმა. აქ კი მუჯლუგუნიც დამავიწყდა და ამხანაგებიც.

— ღმერთო ჩემო, რა პირწყლიანი აღამიანი იყო, რა მხატვრულად დაგვიხატა ციხეში მომწყვდეულ მცხოვრებთა მდგომარეობა, ოდეს გარშემო აუარებელი მტერი ერტყათ. ისე ცხადად გვაგრძნობინა იმათი ტანჯვა და ვაება უსალსრობისა გამო, რომ ჩვენ აზრით გადავთრინდით იმ ციხეებში და ალყა-შემორტყმულებთან ერთად ვიტანჯებოდით. ეს გარდაქ-მნა ისე ნამდვილად მოჰქდა, რომ ჩვენის კლასის ფანჯარასთან რომ რომის ლეგიონები გამოჩენილიყვნენ, შესაძლოა შეგვშინებოდა, მაგრამ გაკვირვებით კი არ გაგვიკვირდებოდა. მერე რა უსიამოვნო სახით დაუხვდა ზარის წკარუნს სმენად გადა-ქცეული კლასი! ეს ხომ იშვიათი შემთხვევაა. საზოგადოდ, ზარის წკარუნს, ისე ნატრულობენ მოწიფები, როგორც წვი-მას გადამხარი ყანის პატრონი. ახლა კი ნაღვლიანად აი-შალნენ და მადლობით გააყილეს თვალი მასწავლებელს, რო-მელსაც ამოდენა სიცოცხლე და მიშჩიდველობა შემოჰკონ-და ჩვენ შორის.

ამ დღეს სხვა გაკვეთილები აღარ იყო და სახლისკენ წა-სვლა დავაპირე, მაგრამ ამხანაგებმა მირჩიეს, სახლში წასვლას მოასწრებ; სჯობია დღეს ისარგებლო ბეღნიერ შემთხვევით და მტკვრის ნაპირას გამოგვყევი სათამაშოდაო. სხვა დროს ან ხუთი, ან ოთხი გაკვეთილი გვაქვს და მაშინ ამას ვერ შევ-ძლებთო.



დღე მშვენიერი იყო. სულმა წამძლია და გავყენებულ მარტო ზე გავედით და მტკვრის ნაპირით გავეშურეთ ერთ კარგა ბოზრდილ გორაკისაკენ, რომელიც ჩვენის გიმნაზიის პირდაპირ მდებარეობდა. ძლივს ძლივობით ავცოცდით დაქანებულ ბილიკით ჩვენს დანიშნულ ადგილისაკენ. მართლაც მშვენიერი ადგილი იყო.

მზით სავსე (ენკენისთვეში მზეს კარგი ფასი აქვს) ადგილის მდებარეობა შეძლებას გვაძლევდა მტკვრის გაღმა მხარი თითქმის მთლად დაგვენახა. იგერ მარტნივ მწვანედ, ცოტა სიყვითლე შერეული, მუშტაილი მოსხანს. იქით დიდუბის ბალები იკარგება ლურჯ სივრცეში. ცის ტატნობზე მიიკლაკნება ქუთაისისაკენ მიმავალი მატარებელი. პირდაპირ მოსხანს კუკიის სასაფლაო. სხვა და სხვა ფერი ძეგლი, ერთმანეთში არეული, აჭრელებს მთის კალთას. მარჯვნივ, შორს მტკვარზე გადადებულია ხიდი. ზედ ხალხი ისე ირევა, როგორც ჭიანჭველები. ეს მინდორი უთუოდ ოდესალც სასაფლაო იყო, რადგანაც ბლომად იყო მოფენილი საფლავების ქვებით. კარგი დასასვენებელი ადგილებია. ცოტა სული რომ მოვიბრუნეთ, უქვო ვაკე-ადგილი ვიპოვნეთ, შემოვხაზეთ ცარცით, რომელიც ერთ თადარიგიან ყმაწვილს კლასიდან წამოელო და შეუდექით ლახტობანას. ეს ფრიად სასიამოვნო გართობაა. მოთამაშენი ორ ჯგუფად იყოფებიან; ერთი ჯგუფი წრეში შედის, მეორე—წრეს გარედ რჩება. წრეში მყოფი, რაც ძალა და მოხერხება აქვს, სცდილობს, მოპირდაპირემ ქამარი, რომელსაც იგი იცავს, არ მოსტაცოს. ამავე დროს ლამობს როგორმე ფეხი მოჰკრას მოპირდაპირეს, რაღვანაც ამის შემდეგ ადგილები იცვლება და ვაი წრეში მყოფს და მის ამხანაგებს. თუ მოპირდაპირეს ფეხი ვერ გაჰკრა და ქამარიც გამოაცალეს, როგორ უღმერთოდ სცემენ უხეიროს და მის მეზობლებს, რომელნიც ყვედრებით არ ასვენებენ. ი, მეც მეწვია ეგ ბედი. ყველა დავარწმუნე, რომ მშვენივრად ვთამაშობ მეთქი (თავის დღეში კი არ მეთამაშნა) და იმათაც ნება დამრთეს, ითამა-



შეო. წრეს შიგნიდან მოვემწყვდიე. თვალის დახამძამების უმალვე, ქამარიც წამართვეს და ერთი ლაზათიანად გამიმასპინძლდნენ. ვიხტუნე და ვიყვირე, მცემდნენ და იცინოდნენ, ძლივს ვეღირსე დასასრულს და გადავწყვიტე, თავის დღეში აღარ მეთამაშა ეს უბედური თამაშობა. ცოტა რომ დავისვენეთ, მტკვარში სიბი ქვების სროლა დავიწყეთ. „თევზები და ვხოცოთ.“

— მერე როგორ დავიჭროთ დახოცილ თევზებს? — ვიკითხე.

— მოიტივტივებს და წყლის კიდეს მოაგდებს. მეც ცქერად გადავიქეცი, მაგრამ ვერც მოტივტივებული, ვერც კიდეს მოგდებული თევზი ვერ დავინახე. მართალია, გამოჩნდა რამდენსამე წუთს შემდეგ რაღაცა წყლის პირზე, მაგრამ, სამწუხაროდ, დაძველებული გობი გამოდგა, როგორც მალე დავრწმუნდით.

— არ გინახავს, როგორ ჩამოგორდება დათვი მთიდგან დაღმა-დაღმა, — დამიძახა ერთ ყვითელ თავა ბიჭმა.

— არა, აბა, როგორ? — უპასუხე.

— „ახლავე,“ მითხრა და, თვალის დახამძამება ვერ მოვასწარი, ჩემი ქუდი გორაკიდან მტკვრისაკენ მიექანებოდა.

— ვაიმე, დამეკირგება, — გავიფიქრე და ბუზღუნით გამოვედევნე ქუდს. ქუდი კი გადარჩა, ქვამ თითქმის წყლის ნაპირას შეიკავა, მაგრამ უბედურად გამტვერიანებული და დაუეჭილი იყო. მე მრისხანედ მუშტი მოუღერე გაღმომდგარ ვაჟბატონს და დალონებული გავწიე გიმნაზიისაკენ, სადაც წიგნები დავტოვე წამოსვლისას. მეორე დღეს დილის რვა საათზე ისევ გიმნაზიის კარებს მივადექი; დღეს წყიმდა და მე მობუზულს ღვარები ჩამომდიოდა ცხვირ-პირიდან. უთუოდ ამ არა სასიამოვნო დღის წყალობით, გულს სევდა მამწოლოდა. დღეს გიმნაზიის დანახვამ გუშინდელივით აღარ გამახარა.

შესაძლოა ამხანაგების გუშინდელი ხუმრობა მომაგონდა,

მაგრამ არა, სხვა რაღაცა მაწუხებდა — გული რაღაცა — მასწავლებელი მომარტინია გამოირკვა ამის მიზეზიც: რუსულის ენის მასწავლებელი რომ შემოვიდა რვეულების დიდი გროვით ხელში, ვიგრძენ, რომ ჩემ გუშინდელ დაწერილის შრომის სვებედი მაწუხებდა და მაფიქრებდა: ნეტავ ძალიან კარგი გამოდგა თუ არა — უხეირობისა კი არ მეშინოდა, ეს რა საფიქრებელი იყო. ლიმილი რომ შევამჩნიე მასწავლებელს ჩემს შემოხედვაზე, მაშინვე დავშოშმანდი. ამხანაგებს დაუგრძელდათ მოლოდინში სახეები, ყველამ თვალები გაუშტერა იმ ლურჯ გროვას, რომელიც მასწავლებელმა თავის წინ მაგიდაზე დასდო. მე მოლოდინში ლურჯ ქუდს ვატრიალებდი ხელში. ლმერთო ჩემო, როგორ დაეტყო ერთის დღის დელვა-ტანჯვა და თავგადასავალი გუშინ დილით აგრე ახალ და მოხდენილ ქუდს. სხვა და სხვა ფერებით აჭრელებული და შეუბრალებლად დაჭმუჭვნილი, საბრალოდ მიმზერდა და თითქოს თანაგრძობით მკითხავდა: „მე ესე მომექუნენ შენი ამხანაგები, ერთ დღეში ეგრე ვიცვალე სახე — შენ რაღა მოგელის, ჩემო კეთილო პატრონო, სადამდინ შეგრჩება ეგ ლიმილი?“

თანაგრძობით უსმენდი და დასამშვიდებლად ხელიც გადაუსვი.

— გვერდები როგორა აქვს, — მომიბრუნდა ერთი გუშინდელთაგანი ამხანაგი, დამსწრე გორაზე მომხდარ ამბავისა.

— ჩუმად, ჩუმად, — გაისმა კლასში და ამან მომიკლა პასუხის სურვილი. — „მოგასწრობ მერე, “ — ვიფიქრე და მასწავლებელს შევხედე.

მან ჩაახველა, ხმა გაიშინდა და ლიმილით დაიწყო:

— გუშინდელი სამუშაო ერთობრივ კარგად დაწერილია, ერთმა, ორმა ვერ შესძლო, მაგრამ მეტს რომ ეცალნენ და მომეტებულის ბეჯითობით შეუდგნენ მუშაობას — მომავალში ისინიც აიცდენენ დღევანდელ სამწუხარო ხვედრსა; სხვათა



შორის,—განაგრძო მან: ერთი ფრიად საინტერესულ უკურნახტ  
აღმოვაჩინე.

„ჩემი იქნება“ მეთქი,—სიხარულით გავიფიქრე და წელ-  
შიაც გავსწორდი.

მზემ, რომელსაც ამ დროს გაეფანტა ლეგა ლრუბლები,  
შემოგზავნა თავისი სხივი ჩვენს ოთახში. ამან უფრო გამამხნე-  
ვა; ვის არ უგვრძნია შემოდგომის მოლუმულ დღეს სიხარუ-  
ლი, ოდეს მნათობი, თითქო თქვენს ნახვის მოწყურებული,  
გამოეპარება ლრუბელთა ბადეს და ათა, ფერად შეითამაშებს  
უცბად მტკრით ავსილ ოთახში.

— ფრიად და ფრიად სასიამოვნო ამბავი უნდა გადმო-  
გცეთო,— განაგრძობდა მასწავლებელი და მელიის სახე უცი-  
ნოდა.

„რაღას აქიანურებ, დალოცვილო!“ — ვფიქრობდი მე,  
სთქვი და გაათავე „... ეხლა სრულია დარწმუნებული ვიყავი,  
რომ მე შემეხება, რასაც ამბობს, რადგან სხვა რვეულებიდან  
გამოათრია ჩემი და ხელში დაიკავა.

— ჩვენში კოგოლი გამოჩენილაო,— ამბობდა მასწავლებე-  
ლი. „ჩემზე ამბობს,“ ვფიქრობდი და ჩემს იდგილს ვეღარ  
ვისვენებდი. ამხანაგების სახეზე გაკვირვებას ვკითხულობდი,  
რადგანაც ისინიც მიხვდნენ, ვის ეკუთვნის რვეული, რაკი მა-  
სწავლებელი თვ ლს აღარ მაშორებდა.

— გუშინ დაუწერია „შეშლილის წერილები,“ — გაათავა  
თავისი სიტყვა და გადმომცა ჩემი ახალ-ახალი, მტრედი-  
ვით სუფთა რვეული, მაგრამ ახლა კი უზარმაზარ ორიანით  
დამშვენებული. ირგვლივ სიცილი მომესმა. გული ამემლვრა,  
მდუღარე ცრემლი მოსწყდა თვალებს და ჩემს ლურჯ-თეთრ  
ქობიან ქუდს დაეცა. „ვგრძნობდი, ლიმილი დიდხანს არ  
შეგრჩებოდა სახეზეო,“ მითხრა თითქოს მან და დადუმდა. მეც  
ესდუმდი.

შ. ქართველი შვილი.



## „მზეს ეტრიოდე!“

(უძღვნი ჩემს ჰატარა მეგობარს გოგი  
ბენ-შეიდს).

**მ**ეცერთა ნისლი, შესრიალდა,  
მთის გადალმა გადიკარგა...  
ველი ნამით მოიქარგა...  
ოოროლას ხმა აწყრიალდა,—  
ჰანგნი ზეცად ანატყორცნი.  
ტყის ფოთოლიც აშრიალდა,  
ნიავის ფრთით დანაკოცნი.


\* \* \*

მაღალ მთასაც გაეცინა,  
რა იხილა მზისა სხივი;  
სიომ ფოთლებს შესსინა,  
ჩამოკრიფა ვერცხლის მძივი...

\* \* \*

მთის ნიავი ტყეს კულულებს  
უვარცხნის და უხუჭუჭებს;  
ვარდს უკოცნის ლალის ტუჩებს,  
თანაც ნაზად შესჩურჩულებს:  
„მზეს ეტრიოდე, მზეს ეტრიოდე!  
მარად მზისკენ ისწრაფოდე!“

კ. აბაშისპირელი.




## ცეცხლი ნავთის ქარხანაში.

(სურათი ბაქოს მუშების ცხოვრებისა).

### ა. შირვანზადესი.

(სომხურით).



ატონო! ქარხანას ცეცხლი წაეკიდა!  
ივან გრიგორიჩ მარტიანცი შუატანი-  
სა, მსუქანი და ჯერ კიდევ ახალგაზდა კა-  
ცი იყო, ევროპიულ შავ ტანისამოსით გამო-  
წყობილი. სავსე, რგვალ და სუფთად მოპარ-  
სულ სახის წითელი ფერი ერთ წუთას წაუვიდა სამწუხარო  
ამბის გაგონებაზე.

— როდის? რომელ საათზე? რომელ წერიდან გაჩნდა  
ცეცხლი? — ერთობ მოუთმენლად და ბრძანების კილოოთი ეკი-

თხებოდა, ორ პატარა თვალის ბაიების სწრაფად გადატკურებულია ბირ და ხელების წინ წაწევით. თითქოს უნდოდა გაცოფებული სცემოდა ბოროტ ამბის მომტან მუშას და იქავე დაეხრჩო.

— ცეცხლი გაჩნდა დაახლოვებით საათის სამის მეოთხედზე, — კანკალით უპასუხა მუშამ და შიშით უკან-უკან დაიწია! — ის იყო, საქმე გავათავე და დასაძინებლად ვეზზადებოდი, როდესაც მომესმა რაღაც ჭახანი. ხმა ძრიელი იყო, თითქოს მთელი ჭახანი ინგრევაო... რამდენსამე წუთს გონგბა ვერ მოვიკრიბე... არ ვიცოდი, რა მექნა, სად გავქცეულიყავ. როგორც იყო, გონს მოველ და გარედ გამოვერდი: ის იყო, წინ უნდა გავქცეულიყავ, ერთიც ვნახო, მარჯვნივ, ქვაბების განყოფილებიდან ალ-ნარევი კვამლი ამოდის... მივხვდი, რომ ნავთის დიდ ქვაბებში ერთი გახეთქილიყო. ცეცხლი მიღიოდა გასაწმენდ ზეთის განყოფილებისკენ. მუშებს გაეღვინათ; ზოგი საცვლების ამარა, ზოგი ჩაცმული, ყველანი მირბოდნენ ცეცხლის ჩასაქრობად. იმ წუთასვე გამოვიქეცი ქალაქისკენ, რომ თქვენთვის შემეტყობინებინა.

იგან გრიგორიჩის მკერდი მოულოდნელ ლელვისაგან სისწრაფით აღიოდა და ჩადიოდა. რამდენსამე წუთს გაჩუმებული იდგა და, ცოტა ფიქრს შემდეგ, მიქმართა ერთს მოსამსახურეთთაგანს, რომელნიც პირ-დაღებულნი ყურადღებით უგლებდნენ ყურს მუშის ლაპარაკს.

— ახლავე შეაბით ჩემი ეტლი, დაუყოვნებლივ ჭახანაში უნდა წვიდე.

მოსამსახურენი გაცვივდნენ ბატონის ბრძანების ასარულებლად.

— დამღუპავენ, დამაქცევენ, გამაკოტრებენ, უკანასკნელ სიღარიბეში ჩამაგდებენ, ლუქმა პურის ნატრულსაც კი გამხდიან ეგ დაწყევლილები... ეგ საზიზორები... შეუბრალებელი ნადირები... ეგ... ეგ, ეგ...:

— ღმერთმა დასაჯოს ის ბოროტი ჭაცი, ვინც გაბედა



და ეგ ზარალი მოგაყენათ... ღვთის ნებაა, ბატონო, ჩვენ უკიდებთ ცეცხლს...

სთქვა თუ არა ეს მუშამა, ქულით ხელში გაემართა კედლისკენ. ფართო დერეფნის კედელზე დაკიდულ კანდელის შუქმა გაანათა იმისი ნავთით შემურული ტანისამოსი, იმისი შავი და ჭუჭყიანი სახე.

მსხვილ წარბებ ქვეშიდან ანათებდა არა-ჩვეულებრივის მწუხარების გამომხატველი შავი თვალები. მაგრამ იმის ჭალარა შერთულ თმებს ნამდვილი ფერი დაჰკარგოდა, სქელ ჭუჭყისა და ნავთის მურის წყალობით.

— მუშა ვინ არის, იმისი ღმერთი ვინ უნდა იყოს! — ყვიროდა ივან გრიგორიჩი გაცოცებულ ლომივითა. — მუშას ღმერთი არა ჰყავს, იმისი ღმერთი ჯოხია. თქვენ რომ ღმერთი გწამდეთ, ერთ წელიწადში ჩემი ქარხანა ორჯერ არ დაიწოდა. თქვენ რომ სინიდისი და გული გქონდათ, სიცოცხლეს გასწირავდით და ეცდებოდით, რომ თქვენს ბატონს, თქვენს მკვებავს ზარალი არ მოსვლოდა.

მუშა გაჩუმებული იდგა; იყოდა, რომ ივან გრიგორიჩის თავმომწონე ბუნება დიდი მტერი იყო სიტყვის შებრუნებისა, მეტადრე ამისთანა უბდებულობის დროს.

— ბატონო, ეტლი მზად არის, — შემოიჩინა მოსამსახურებ.

— მე მივდივარ, შენც ამ წუთსავე გაიქეცი ქარხანაში, — მიჰმართა ბატონმა მუშას.

რამდენსამე წუთს შემდეგ, მოშავო ფერის ცხენებით შებმულ მშვენიერ ეტლს ძვირფას თბილ ქურქში შეხვეული ივან გრიგორიჩი მიაქროლებდა ქარხნისაკენ.

ჩრდილოეთის ქარი ჰქონდა, წვიმა ღონივრად სცემდა ეტლის ფანჯრებს და აორკეცებდა ივან გრიგორიჩის ღელვას. თითქო საკმარისი არ იყო ადამიანთ ბოროტება, მუშების გულჭვაობა; ბუნებაც ახლა იჩნენ თავის სიმკაცრეს, ონავარ მტე-

რივითაო; რაღა ამაღამ მოუნდა ასე გრიალი ქარხა, უკანასკნელი ცეცხლი. უიმისოდაც ასე საშიშია ნავთის ქარხანაშიო.

ასეთი ფიქრები აღელვებდა ივან გრიგორიჩის ეტლში და იმდენად გაშმაგებული იყო, გეგონებოდათ, სიბრაზით თავის ქარხნის ნავთის ქვაბივით გასკდებაო. დროგამოშვებით, ეტლის ფანჯრიდან გაჰყურებდა შორეულ ცეცხლის სინათლეს და მოუთმენლად უბრძანებდა მეეტლეს: გარეკე, ნუ ზოგავ ცხენებს, ერთი კვირაა მოსვენებულები არიანო.

როდესაც გასცილდა ქალაქს, მეეტლემ ერთხელ კიდევ შემოკრა შოლტი ცხენებს და ეტლი გაპერა ღამის წყვდიადში.

მუშა კი, გამოვიდა თუ არა ქუჩაში, გაუდგა გზას. ყურადღება არ უნდა მიექცია არც ქარისოვის, არც წვიმისათვის: ბატონს ნაბრძანები ჰქონდა, რაც შეიძლება მალე გაჩნდი ქარხანაშიო. დავგიანება არ შეეძლო: ამისთანა შემთხვევაში მუშის მცირე დაყოვნებაც კი ბატონის თვალში დიდი დანაშაული იქნებოდა.

ცეცხლ-წაკიდებული ქარხანა ქალაქიდან სამის ვერსის მანძილზე იყო. მუშა გზის შესამოკლებლად ზღვის ნაპირ-ნაპირ მიდიოდა. ფართო ზღვის ტალღების შუილი ღამის წყვდიადში უსიამოვნოდ მოქმედებდა აღამიანზედ და რაღაც უცნურს შიშს ჰბადავდა მის გულში. არც ერთი სულდგმული, არც ერთი ცოცხალი არსება არა სჩანდა ზღვის პირას, იმ შავისა და ბრგე კაცის გარდა, რომელიც ღამის მოჩვენებასავით აჩქარებულის ნაბიჯით მიდიოდა წინ და ქვიშაში ღრმად ეფლობოდა ფეხები. კაცი უცებ შეჩერდა, თითქო რაღაც მოაგონდაო და ორივე ხელი გონება-დაუტანებლივ შუბლზე მიიდო; ერთ წუთს გაუნძრევლად იდგა.

— ღმერთო, ჩემი ძმა და პატარა შვილი ცეცხლის დაწყების წინად დაწვნენ დასაძინებლად... მაგრამ სად?.. ოჭ, ჩემთ უბედურო თავო! სწორედ იმ მხარეს... საცა ქვაბი გასკდა... საერთო ოთახში ციოდა და წუხელ გადავიდნენ ქვაბების განყოფილებაში, ღუმელთან ახლო დავიძინებთო. ღმერ-

თო, ვაი თუ დროზე არ გამოეღვიძათ და, ვინ იცის, უვიდათ!.. ანთებული ნავთი პირდაპირ იმათკენ მიღიოდა... მე უბედურმა თვალი ვეღარ მოვკარი იმ საკოდავებს!

ცის კამარა ცეცხლის ალით გაწითლებულიყო; ქარის გრიალზე ალი გაშმაგებული აქეთ-იქით ედებოდა... მთელი შავი ქალაქი კვამლში იყო გახვეული: მუშამ თავის დალლილ ფეხებს ძალა დაატანა...

ივან გრიგორიჩიმა, მისვლის უმალვე, პირველიდ ქარხანას შეჰქედა და ძლივს იცნო ცეცხლით და კვამლით მოცული შენობა. შავი ქალაქის მცხოვრებნი წრესავით შემორტყმოდნენ ცეცხლს გარშემო და, გულზედ ხელებ-დაკრებილნი, შესცეროდნენ გავარვარებულს ქარხანას. აქეთ-იქიდან ხალხი კიდევ მორბოდა; მუშების შემურულ სახეს არავითარი მღელვარება არ ეტყობოდა. ამისთანა და ამაზე უფრო დიდი ცეცხლი იმათ-თვის ჩვეულებრივი რამ ამბავი იყო.

— ღვთის გულისათვის... მოდით... მიშველეთ... ნუ შეგეშინდებათ... ფულს მოგცემთ, დავასაჩუქრებ მშველელთ, -- დაიძახა პირველიდ ივან გრიგორიჩიმა, რომელიც თავდავიწყებით მირბოდა ცეცხლისკენ.

— ნუ მიუახლოვდებით, ბატონო!.. წინ ნუ მირბიხართ, საშიშია, — დაიძახეს აქეთ-იქიდან ხალხის ბრბოში და უკან და-აწევინეს.

ალი ორ ღონიერ ნაწილიდ გაყოფილიყო. ერთი გამოდიოდა ერთსართულიან დანგრეულ ბანიდან, კარებსა და ფანჯრებიდან. იწოდა ზეთის საწმენდის განყოფილება. მეორე — თხუთმეტის ნაბიჯის სიშორეზედ მიწურ შენობიდან ამოდიოდა და სწრაფად ედებოდა მთელ შენობას: ცეცხლი მოჰკიდებოდა ნავთის ნარჩენის საწყობს. ამ ორის ალის სვეტის შუა ადგილი ნამდვილ ჯოჯოხეთს ჰგვანდა. ეს შუა ადგილი ჭვაბების განყოფილება იყო, სადანაც პირველიდ გაჩნდა ცეცხლი; ცეცხლის ბრჭყალებს ვერა გადარჩენოდა-რა. რამდე-



ნისამე რკინის ქვაბის გარდა, რომელიც აქეთ-იქით კერძოდ უკეთესობა უკველივე ნაცრად უნდა ქცეულიყო.

დანგრეულ კედლების ნამუსრევთაგან სქელი და შავი კვამლი ამოდიოდა, ტრიალ-ტრიალით ადიოდა მაღლა და უერთდებოდა ალის ფართო სვეტს, როგორც პატარა ტოტი ერთვის დიდ მდინარეს და უფრო აძლიერებს მის გაშმაგებულ სვლას.

ქარხნის ეზო მოფენილი იყო სხვა-და-სავა მილეთის ხალხით... ფეხის დასადგმელი ალაგი არ იყო. ივან გრიგორიჩი იდგა ხალხში და განკარგულებას აძლევდა.

— ეგრე არაფერი არ გამოვა, საჭიროა ნობელის ქარხნიდან საქრობი მანქანები მოატანინოთ, — ამბობდა ერთი.

— დიალ, დიალ, მხოლოდ ნობელის საქრობებით შეიძლება ცეცხლის ჩაქრობა, — დასძინა მეორემ.

ესენი მახლობელ ქარხნების პატრონები იყვნენ, რომელნიც იმდენად ივან გრიგორიჩისათვის არა ზრუნვლნენ, რამდენადაც იმისი ეშინოდათ, რომ იმათ ქარხნებსაც არ წაჰკიდებოდა ცეცხლი.

ივან გრიგორიჩი იმათ ყურს არ უგდებდა.

— მიშველეთ... ჩქარა... ფულს მოგცემთ... წყალი მოიტანეთ, რას გაშეშებულხართ... ოქვე ოჯახ-დაქცეულებო... ქურდებო... ავაზაკებო... დამღუპეთ, დამანელეთ, — აგინებდა მუშებს ივან გრიგორიჩი და, გონება-დაბნეული, აქეთ-იქით ეწყვეტებოდა.

ცეცხლის ჩაქრობას, გარდა ივან გრიგორიჩის ქარხნის მუშებისა, შველოდნენ სხვა ქარხნების მუშებიცა, აგრედვე სხვა ხალხიცა. მხოლოდ პირველნი მუშაობდნენ ცეცხლის ახლოს, საშიშ ალაკას, მეორენი კი, რამდენადაც შეეძლოთ, სცდილობდნენ — შორიდან ეშველათ, გაშმაგებულ ალის მორიდებით. პირველნი საქრობების ლულებიდან წყალს ასხამდნენ ცეცხლის შუაგულს, საჩდანაც ალი ყოველ წყლის მოხვედრაზე ყრუ ხმას იღებდა, მეორენი კი — ზოგი შორიდან



წყალს მოარბევინებდა, ზოგი კიდევ წყალს ასხამდა ჟაფრანშავა  
ბებში.

ერთი რიგი მუშებისა ნიჩბებით მიწას აყრიდა ორივ მხრი-  
დან დანარჩენ ნაეთ-მოკიდებულ საწყობს.

ივან გრიგორიჩის რამდენიმე მუშა ისე ახლო მისულიყო  
ცეცხლთან, რომ ბევრს შეიშით გული უსკდებოდა იმათ მაგიერ.  
ბული აღრჩობდა იმ ახლო მისულებს, ცეცხლის სიცხოვლე  
სწვავდა იმათ ნახევრად ტიტველ ტანს, სხვილ-სხვილი ნაბერ-  
წელები წვიმასავით სცვიოდა იმათ თავზედ, მაგრამ ისე იყვნენ  
ჩანთქმულნი თავიანთ საქმით, რომ თითქო არაფერსა პერძნობ-  
დნენ. ყოველ წუთს კი იმათს ნაეთით გაუღენთილ ძონძებს  
მოელოდა ალივით აპრიალება იმ ბლუჯა-ბლუჯა ნაბერწელე-  
ბისგან, რომელსაც გაონავრებული ცეცხლი ისეროდა იქეთ-  
იქით. ამ მოსალოდნელ უბედურების ასაცდენად ზოგიერთი  
შერობელი მუშა იმ საცოდავებს ასხურებდა წყალს პატარა  
შხაპუნებითა.

სუბუქის ჭკუის ბრბო ხშირად სცდილობს თავის გასარ-  
თობად გადააქციოს საზარელი სანახაობა და იქაც კი იპოვ-  
ნოს რამე თავის ველურ ინსტიქტების დასაკმაყოფილებლად.

— ჩვენც ავდგეთ და ვასხათ წყალი, ვინც ცეცხლთან ახ-  
ლოა, — ამბობდნენ თითო-ოროლანი და უსირცხვილოდ იცი-  
ნდნენ.

— აბა, წაღით წინა და ჩვენც იქედან მიწას მოგაყრით, —  
ოხუჯობდნენ ახლა სხვანი.

— რა ცეცხლია, ბიჭებო, მწვადების ასაშიშეინებლად, —  
ამბობდა ერთი ულვაშების გრეხით.

ცეცხლი მატულობდა... ბრბომ ვერ გაუძლო სიცხეს და  
დაიწყო ნელ-ნელა უკან დაწევა.

3. ၃.

(დასასრული იქნება)





## შირვანზადე.

(აფექტანდრე მოჭკესიანი).

21 გ.ისს, ჩვენი ახლო მეზობელი სომეხთა მადლიერი ერი 30 წლის იუბილეის უმართავს ბელეტრისტს შერვანზადეს. შირვანზადე ფსევდონიმია ალექსანდრე მოვსესიანისა. ბ-ნი მოვსესიანი სომეხთა ერის თავ-მოსაწონებელი დიდება და მშვენებაა. ის ითვლება ერთ საუკეთესო, ნიჭიერ, საყვარელ ბელეტრისტად. როგორც მის ბიოგრაფიის წაკითხვიდგან გაი-



ე წ ა ვ ლ ი ს გ ა ნ გ რ ძ მ ბ ა ა რ ც კ ი ლ ი რ ს ე ბ ი ა — მ დ ი დ უ ლ ი ს ი მ ბ ი რ ა დ ა დ ა მ ა ღ ა ლ ი ს ს წ ა ვ ლ ი ს მ ი ღ ე ბ ი ს გ ზ ა დ ა უ ხ შ მ . ა მ მ ი ზ ე ზ ი თ ბ ე ვ რ ი გ ა ქ ი რ ვ ე ბ ა გ ა მ ო ს ც ა დ ა . — ი მ ს ა ხ უ რ ა ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა ა დ გ ი ლ ი ა ს , გ ა ე ც ნ მ დ ა - ბ ი ი მ უ შ ა ხ ა ლ ხ ს , დ ა მ ი ს ი გ ა ქ ი რ ვ ე ბ ა , მ დ ი დ რ ი ს ა გ ა ნ ლ ა რ ი ბ ი ს დ ა ბ ე ჩ ა ვ ე ბ ა თ ა ვ ი ს მ ო თ ხ რ ი ბ ე ბ შ ი ნ ი ქ ი ე რ ა დ - გ ა მ ო ხ ა ტ ა . ა მ ი ტ ი მ ჩ ა გ რ უ ლ თ მ ო ს ა რ ჩ ლ ე მ წ ე რ ლ ა დ ი თ ვ ლ ე ბ ა . ვ ი ნ ც გ უ ლ ი ს ყ უ რ ი თ წ ა ი კ ი თ ხ ა ვ ს ა მ ა ვ ე ნ ი მ ე რ ა მ ბ უ ლ შ ი რ ა ნ ზ ა დ ე ს მ ო თ ხ რ ი ბ ა ს - ც ე ც ბ ლ ი ნ ა ვ თ ი ს ქ ა რ ხ ა ნ ა შ ი “ - ი ს , უ ჩ ვ ე ნ ლ ა ც მ ი ხ ვ დ ე ბ ა , ვ ი ნ ა რ ი ს შ ი რ ვ ა ნ ზ ა დ ე დ ა რ ა მ დ ე ნ ა დ ს ა ს ა რ გ ე ბ ლ ო დ ა ს ა ყ ვ ა რ ე ლ ი ა ს ე თ ი მ ო ლ ვ ა წ ე . ს ა ზ ო ვ ა დ ი მ დ წ ე რ ა ლ ი , პ რ ე ტ ი , მ ა რ ტ ო რ მ ე ლ ი ს ა მ ე ბ ე ბ ლ ი ს ე რ ი ს ს ა კ უ რ ე ბ ე ბ ა ა რ ა რ ი ს ; ი ს მ თ ე ლ ს ა კ ა ც უ ბ რ ი ი ს ს ა - ქ მ ე ს ე მ ს ა ხ უ რ ე ბ ა , მ ა შ ა ს ა დ ა მ ე მ თ ე ლ ქ ვ ე ყ ა ნ ა ს ე კ უ თ ვ ნ ი ს . ა მ ი ს ა - თ ვ ი ს , გ ა ნ უ რ ჩ ე ვ ლ ა დ ე რ ო ვ ნ ე ბ ი ს ა , ყ ვ ე ლ ა ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ი ა ი ც - ნ ი ბ დ ე ს ა ს ე თ მ ო ლ ვ ა წ ე .

ჩ ვ ე ნ ც გ ა ვ ი ც ნ ა თ პ ა ტ ი ვ ც ე მ უ ლ ი ი უ ბ ი ლ ი ა რ ი დ ა , ს ო მ ხ ე ბ - თ ა ნ ე რ თ ა დ , უ ს უ რ ვ ი თ ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ი , ნ ა ყ ი ფ ი ე რ ი , ქ ვ ე ნ ი ს ს ა ს ა რ გ ე ბ ლ ი ს ს ი ც ი ც ბ ლ ე . მ ა თ დ ლ ე ს ა ს წ ა ვ ლ ი ს ჩ ვ ე ნ ი მ ხ ი ა რ უ ლ ე - ბ ა შ ე უ ე რ თ ი თ დ ა , რ ო ც ა ს ო მ ხ ე ბ ი მ ა ლ ე 21 მ ა ი ს ს ს ო მ ხ უ რ ა დ - “ კ ე ც უ - კ ე ც ე ს ” დ ა ს ა ხ ე ბ ე ნ ჩ ვ ე ნ ც ჩ ვ ე ნ ი ს ქ ა რ თ უ ლ ი ს ვ ა შ ა , ვ ა - შ ა თ ი დ ა ვ ა ჯ ი ლ დ ო ვ ი თ .

შ ი რ ვ ა ნ ზ ა დ ე დ ა ი ბ ა დ ა 1858 წ . შ ა მ ა ხ ა შ ი . პ ი რ ვ ე ლ - დ ა წ ყ ე ბ ი თ ი ს წ ა ვ ლ ი ს მ ი ღ ე ბ ი ს შ ე მ დ ე გ ს ო მ ე ხ თ ა ს ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი ს ა დ ა ს ა მ ა ზ რ ი ს ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ შ ი , ბ ა ქ ი ს რ ე ა ლ უ რ ს ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ შ ი მ ო ი ნ დ ი მ ა შ ე ს ვ ლ ა , მ ა გ რ ა მ , მ ა მ ი ს გ ა ქ ი რ ე ბ ი ს გ ა მ რ , ვ ე ლ ა რ მ თ ა ხ ე რ ხ ა დ ა ა დ გ ი ლ ი ც ბ რ ი ვ ს ა ბ ო ქ ა უ ლ ი ს შ ე ვ ი დ ა გ ა დ ა მ წ ე რ ლ ა დ . მ ა ლ ე შ ე ა ტ ყ ი , პ ო ლ ი ც ი ე ლ ა დ ვ ე რ გ ა მ რ ვ დ ე ბ ი ი დ ა თ - ვ ი დ ა ა ნ ე ბ ა ი ქ ს ა მ ს ა ხ უ რ ს . 1875 წ . წ ა ვ ი დ ა ბ ა ქ ი ს , ს ა ღ ა ც წ ე - ლ ი წ ა დ - ნ ა ხ ე ვ ა რ ი ს ა გ უ ბ ე რ ნ ი ი ს ა მ მ ა რ თ ვ ე ლ ი ს ი მ ს ა ხ უ რ ა გ ა დ ა - მ წ ე რ ლ ა დ . მ ა ლ ე ბ უ ბ ა ლ ტ ე რ ი ბ ა შ ე ი ს წ ა ვ ლ ა დ ა ნ ა ვ თ ი ს ე რ ხ ა ნ ა შ ი შ ე ვ ი დ ა ბ უ ბ ა ლ ტ ე რ ა დ . ს წ ი რ ე დ ა მ დ რ ი ს გ ა ი გ მ — მ , მ წ ი გ ნ ი ბ რ ი ბ ა ა რ ს ე ბ ო ბ ს ქ ვ ე ყ ა ნ ა ზ ე დ ა მ . პ ი რ ვ ე ლ შ ი რ უ -

სულად დაიწყო კორესპონდეციების წერა რუსულ გაზეფებში შემდეგ თავი დაანება ამ საქმეს და სომხურად დაიწყო წერა „მშაქში“ 1879 წ. 1883 წ. ამავე გაზეთში დაიბეჭდა მისი პირველი მოთხოვა „ცეცხლი ნავთის ქარხანაში“, რომელმაც მაშინვე მიიპყრო საზოგადოების ყურადღება.

სომეხთა მხატვრულ ლიტერატურაში შ—მ პირველად და-ასურათა ცოცხლად—რამდენად უმნიშვნელოა მდიდარ მექან-ზნეთათვის მუშის სიცოცხლე. 1884 წ. ტფილისში გადმოსახლ-და და ხელი მიჰკო სამწერლო მუშაობას, თანამშრომლობდა ურნალ „არძაგანქში“.

მას შემდეგ შ—მ გამოაქვეყნა ერთი-მეორეზე უკეთესი ნაწარმოები: „ნოქრის დღიურიდან“, „ნამუსი“, „არამბინი“ „არსენ დიმაქსიანი“ მეტადრე „ქაოსი“, რომელიც მის ნაწარ, მოებთა შორის უკეთესაგანია.

შ—ე რეალურ მიმართულების საუკეთესო წარმომადგე-ნელია სომხურ ლიტერატურაში. მის მოთხოვათა სიუკეტი ქალაქის ცხოვრებიდანაა აღებული.

შ—ე სომეხთა შორის ცნობილია, როგორც საუკეთესო საყვარელი ბელეტრისტი და დრამატურგი; გაბრიელ სუნდუ-კიანცის შემდეგ, პირველი ადგილი უჭირავს სომებს დრამა-ტურგთა შორის.

შ—ეს ნაწერთა უმთავრესი ლირსებაა: პსიხოლოგიური თანდათანობა, ყოფა-ცხოვრების, ზე-ჩვეულების აღწერა და ტიპების კარგად დასურათება.


რუსულად და ფრანგულად გადათარგმნილია მისი რამდე-ნიმე მოთხოვა და პიესა. ქართულად „ცეცხლი ნავთის ქარ-ხანაში“-ს გარდა, გადათარგმნილია ორი საუკეთესო პიესა: „ნამუსისათვის“ და „ევგინე“.





## ყვავილის დღესასწაული \*).

(ჭექის წინადმდებრი საბრძოლებლად).



რა მკონია, ჩვენის „ნაკადულის“ ნორჩია მკითხველებმა არ იცოდნენ, რა საშიშარი, რა შეუბრალებელი სენია მთელის კაცობრიობისათვის ჭლექი. ვინ მოსთვლის, რამდენ ოჯახისათვის გამოუცლია გარჩენალი, ოჯახის ბურჯი მამა, რამდენი ძუძუმწოვარა ბავშვისათვის წაურთმევია საყვარელი დედა. ვინ დასთვლის, რამდენ მუშისონ უდროოდროს დაუდუნებია მშრომელი მარჯვენა. ვინ იცის, რამდენი ახალგაზრდა დასთხოვია სწავლის, რადგან ამ სენით დაავადებულს ვეღარ შესძლებია სწავლის განგრძობა.

ვინ შესძლებს ჩამოსთვალოს, რამდენ პოეტს, მგოსანს, საზოგადო მოღვაწეს ვერ მოუსწორია გამოეთქვა თავისი აზრი, ვერ დაუმთავრებია ქვეყნის საკეთილდღეოდ განძრახული ფიქრი. რამდენ უდროვოდ დაკარგულ ახალგაზრდა მოღვაწისათ-

\* ) სურათებში ნაჩვენებია უმაღლეს კურსების მსმენელი ქალები, რომლებიც თბილისში ყვავილებს ჰყიდდენ 20 აპრილს.

ვის გვიოქვამს უკანასკნელი სალაში „მშვიდობით საუკუნოდის მომავალი“ ვინ უწყის, რამდენი საუნჯენი დაემარხეთ ჩვენა? დიალ, ჭლეჭი ყოვლად საშიშარი სენია. მის საშიშროებას ძლიერებს, სხვათა შორის, ის, რომ გადამდებია; საშიშარია მით, რომ ყველას ერთნაირად ავლებს შეუბრალებელ სიკვდილის ცელს. მისთვის ერთია მდიდარი და ღარიბი, ქალი და კაცი; ერთნაირად ასნეულებს, როგორც თბილ სამხრეთის მცხოვრებს, ისე ციფ ჩრდილოეთისას. ამ რიგად, ჭლეჭი მთელის კაცობრიობის, მთელის ქვეყნის საერთო დაუნდობელი, მუხანათი მტერია. ჭლეჭის საშიშროება მეცნიერებამ დიდი ხანია იღიარა და ძრიელ ბევრი მეცნიერი შეეცადა მოეგონა უებარი რამ წამალი, მაგრამ ცდა ჯერ ჯერობით ამაო დარჩა; უებარ წამალს კი ვერ მიაგნეს, მაგრამ, სამაგიეროდ, იღმოაჩინეს გასაფრთხილებელი საშუალება, მიგვითოვს იმაზე, თუ როგორ დავიცათ თავი, გვიჩვენეს გზა, თუ როგორ შეიძისუბუქოს ავადმყოფმა-თვისი მწარე ხვედრი. და ვინც მეცნიერ ექიმების რჩევას და-ჯერებს და ექნება საშუალება, კარგის მოვლით და ფარეზობით მეტს იცოცხლებს.

ჭლეჭთან საბრძოლველად ხალხის კეთილდღეობის მოკირნასულებმა ჰავით საღ, მთიან აღგილებში დაარსეს ავადმყოფთა თავშესაფარი. ასეთ აღგილებს ეძახიან „სანატორიებს“. სანატორიებში იღებენ ჭლეჭის ნიშნებით სნეულებს და იქ დიდის ფარეზობით უვლიან. სანატორიები ზოგან მარტო მცირე წლოვანთათვის არის მოწყობილი. ცხადია, ყველა ამას დიდი ხარჯი ექიმება, მით უმეტეს, რომ სანატორიებში ღარიბთათვის უფასო საწოლებია. საზოგადოდაც ფასი ყველასთვის ხელმისაწვდენია. ყველა ამას ახერხებენ მით, რომ ამ სანატორიებს საზოგადოება ეხმარება.

რაკი ჭლეჭი კაცობრიობამ საერთო მტრად დასახა, მთელი ქვეყანა საერთო საბრძოლველად მოიწვია. ბევრ აღგილს დაარსდა. ჭლეჭთან მებრძოლი საზოგადოება. ყველა სხვა და სხვა კუთხის საზოგადოებამ გადასწყვიტა შეერთდეს და შეერ-



საქართველო  
მთავრობის  
მინისტრის  
მინისტრის  
მინისტრის

თებულის ძალ-ღონით სასტიკად შეებრძოლოს ჭლებს. შეიძუ-  
შავეს საერთო ბრძოლის გეგმა და ქვეყანას ამცნეს: „შეერთ-  
დით უკელანი და ერთობით ებრძოლეთ მტერსაო“.

უკელანგვარ საქმეს სჭირია განსახორციელებელი ღონის-  
ძიება, — ფული — და, რაკი ჭლექი საერთო მტერია, მისი მოსა-  
გერებელი ფულიც უკელამ უნდა გამოიღოს; უკელა ვალდე-  
ბულია, რითაც შეუძლია, საზოგადოებას დაეხმაროს.

დღეს ფულის შესაგროვებელ საშუალებად მიღებულია „გა-  
ზაფხულის პირველ უკავილის დღესასწაული“.

ამისი პირველი მაგალითი ეკროპის პატარა სახელმწიფო  
შვეცარია მოვცა. იქაურმა ჭლექთან მებრძოლმა საზოგადოებამ  
1908 წელს დაადგინა პირველ მაისს (ჩვენებურად 18 აპრილს)  
საპატიო კაცებმა და ქალებმა უკელა თვალ საჩინო ადგილის,  
ქუჩაში, მაღაზიებში, თეატრებში, ბანკებში, რკინის გზის საღ-

გურებზედ და სხვაგან ჰყი-  
დონ უბრალო ყვავილი ათ  
„იქრაო“ (თითქმის შაუ-  
რად). პირველი დღესასწა-  
ული ბრწყინვალე გამარ-  
ჯვებით დასრულდა. საზო-  
გადოების თანხას ერთის  
დღის შემოსავალი 78 ათა-  
სი მანეთი მიემატა. შვეცა-  
რის წაჲბაძა ფინლიანდიამ და  
ეკროპის სხვა სახემწიფო-  
ებმა.

შარშან რუსეთშიც და-  
ადგინეს და შემოიღეს ყვა-  
ვილის დღე ყოველ 20 აპ-  
რილს. წელს მთელ რუსე-  
თის მოზრდილ ქალაქებში  
გაიმართა ასეთი დღესასწა-



ული. სხვათაშორის, 20 აპრილს ჩვენს, საქართველოს დედა ქალაქ ტფილისსაც სადღესასწაულო ელფერი ედო.

დილიდანვე საპატიო ქალ-ვაჭინი ქუჩა-ქუჩა დადიოდნენ და გამვლელ გამომვლელს ზრდილობიანად უბრალო თეთრ გვირილის ყვავილს სთავაზობდნენ. ვაჟს ყვავილით სავსე კალათი ეჭირა, ქალს კი ყულაბი, სადაც ყვავილის მყიდველი თავის წვლილს აგდებდა. პირველ დღესასწაულს საზოგადოება თანაგრძნობით მიეგება და ერთს დღეს ხუთი ათასი მანეთი შეგროვდა. ყვავილს სიამოენებით ყიდულობდა მდიდარი და დარიბი, ნასწავლი და უსწავლელი. შეხედეთ ამ ხევსურებს, რა კმაყოფილი სახე აქვთ, რა თავმომწონედ იყურებიან, ყვავილი უყიდიათ, გულზე დაუბნებიათ და სიამოვნებას გრძნობენ, რომ ამ მთის შვილებმაც საზოგადო საქმეს თავის ნაოფლა რი გროში შესწირეს.

იმედია, შემდეგში ასე თი ფრიად საკაცობრიო სასარგებლო დღესასწაული უფრო ფართოდ და მეტის ნაკოფიერებით გაიმართება: სხვაგან მარტო ყვავილების გაყიდვას არ სჯერდებიან, ყველა საჯარო ადგილის მცოდნენი შეგროვილ ხალხს უკითხავენ ჭლექის შესახებ ლექციას, გაზეთებში პბეჭდავენ ხალხის გასაგებად დაწერილს წერილებს, ავრცელებენ წიგნაკებს და სხვა.

დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ საერთო იერიში ჭლექს ძრიელ მაღა გააგდებინებს ხელიდან სიკვდილს ცელს.

აპ. წ—ძე.





## თეორი სამოსელი.

(დასასრული).



ე უამისოდ სიცოცხლე არ შემიძლიან; მზადა ვარ ეხლავე დაგმორჩილდეთ, წავალ, მოვილაპარაკებ ამხანაგებთან.

ამ გვარად ჩამოიარა ყველა სტუმრები მოხუცმა და სხვა და სხვა დაპირებით უღვიძებდა ღალატს გულში თავიანთ მეფისადმი.

გათავდა ნადიმი. სტუმრები წავიდნენ. გზაზე მოილაპარაკეს ერთმანეთში და გადასწყვიტეს, შეეშინებინათ თავიანთი მეფე, ერჩიათ მისთვის დამორჩილებოდა მძლეველთა მეფეს, თორემ უუდად იქნება საქმეო. ასე რომ ძლიერების მეფე დამორჩილდა მძლეველთა მეფეს; გახარებულმა მეფემ წარუდგინა თავის ქალს ბრწყინვალე დიდკაცობა დამორჩილებულ მეფისა. ფოლადის, რკინის და სპილენძის ტანისამოსი მზესავით გრწყინავდა მათზე.

— წაიყვანეთ ახლავე, გამაშორეთ აქედგან, თორემ მავთი შუქი დამაბრმავებს,—წამოიძახა ქალმა.

— შვილო, გაიცანი, იქნება რომელიმე საქრმოდ უმატებელი უნდობითობა გეწონოს,—უთხრა მამამ.

— რითი, მამავ? იმითი ხომ არა, რომ რკინა მათზე იძღვნია, რამდენიც მგონი თითო რკინის მაღაზიაში არ მოიპოვება, ან კიდევ იმითი, რომ თავიანთ შუბზე შეუძლიათ ხუთი ჩვენი ჯარის კაცი მძივივით ააგონ? ამ ღირსებისათვის მე ჩაგათი მოწონება არ შემიძლიან, სხვებრ-კი ჩვენებს ჰგვანან და მათთან ცხოვრება ჩემთვის მოსაწყები იქნება.

დალონდა ძრიელ მეფე და, ცოტა მაინც რომ გართულიყო, ახლა ომი ცბიერებთან განიზრახა.

ცბიერები სცხოვრობდნენ მიუვალ ჭაობებში; ძნელი იყო მათთან მისვლა. დიდ ძალი ჯარი შეაკლა მეფემ იმათ ომში და ვერ დაიმორჩილა. ათასნაირ ხერხით შეიტყუებდნენ მტერს ჭაობებში, სადაც ყელამდის იფლობოდნენ, ან კიდევ შეიტყუებდნენ დაბურულ ტყეებში, ცეცხლს წაუკიდებდნენ ტყეს და შიგ ამოხოცდნენ ხოლმე მტრის ჯარს.

გონიერმა მოხუცმა უთხრა მეფეს:

— ვერასოდეს ამ ომს ვერ გაათავებ, თუ სიმართლით მოექცევი. დამიჯერე ცბიერთან ცბიერად უნდა იომო და იქნება ომი მოიგო. ახლა დააჯერე, რომ მშვიდობიანობა გინდა და, როცა დაგთანხმდებიან, მოიწვიე სადილად და გაუმასპინძლდი მოწამლულ საჭმელებით; ასე ძალა-უნებურად დაიმორჩილებ.

დაუჯერა მეფემ, მოსწამლა მთელი ჯარი ცბიერებისა; მეფე მათი კი ტყვედ წამოიყვანა თავის ქალთან და უთხრა:

— აი, შვილო, საქრმო მოგიყვანე.

თუმცა მეფე ცბიერთა მეტად ლამაზი იყო, მაგრამ სახე ცბიერი ჰქონდა.

ახედ-დახედა ქალმა და სთქვა:

— მელა რად მინდა ქმრადა?

ამოიოხრა მეფემ და ახლა განიზრახა გალაშქრება მართალთა წინააღმდეგ; თავის განზრახვა გაუზიარა მოხუცს.

— ნუ ინებებ, მეფევ, — უთხრა მოხუცმა. მართალთ ვერ დაიმორჩილებ, ვინც განიზრახა ოდესმე მათი დამორჩილება, თვითონვე დაიღუპა, ესენი კი ისევ ისე სცხოვრობენ, როგორც ძველად. ან რა გინდა ამ ომით შეიძინო, სიმდიდრე არავითა-რო არა აქვთ ჯარს მათ შორის ვერ შეაგროვებ, რადგან არ დაგემორჩილებიან და შენს კანონებს არ მიიღებენ.

— აბა, ვნახოთ, როგორ არ მიიღებენ! — სთქვა განრისხე-ბულმა მეფემ და ბრძანა ჯარის შეკრება საომრად. გაემართა ქვეითი და ცხენოსანი ჯარი; წინ მეფე მიუძლოდა, მშვენიერ ცხენზე მჯდომი.

როცა მიუახლოვდნენ სამეფოს, მეფეს გაეცინა და სთქვა:

— მართალი ყოფილა ჩემი მოხუცი; რა არის აქ სახა-რბიელო, რომ ვეომები?

მართლაც, ქალაქი ქალაქს არა ჰგავდა, დიდი სოფელი პატარ-პატარა სუფთა ქოხებით, დიდ სასახლეების მაგივრად. ქალაქს გარს ჰქონდა შემორტყმული დაბალი გალავანი ალა-ყაფის კარებით. გალავან გარედ ყანები იყო. მეფემ უბრძანა ჯარს სულ დაეთელათ ყანები; როცა ჯარი შეუდგა მეფის ბრძანების ასრულებას, გაიღო ალაყაფის კარები, გამო-ვიდა ღრმად მოხუცებული კაცი, უბრალოდ, მაგრამ სუფთად ჩატმული, ჩაკეტა კარები და მიუახლოვდა ჯარს.

მეფეც მივიღა მასთან; ამ ნაირად ორი მეფე დაუპირდა-პირდნენ ერთმანეთს.

— რისთვის მობრძანებულხართ აქა? რად გვიოხრებთ აქაობას? დაეკითხა მეფე მართალთა.

— შენ ვინა ხარ, რომ მიბედავ ეგრე ლაპარაკს? — მიუგო მეფემ მძლეველმა.

— მე ვინა ვარ? მეფე ამ პატარა სამეფოსი, — სთქვა მო-ხუცმა.

— შენ მეფე ხარ? — განცვითრებით დაეკითხა მეფე, რო-მელმაც უკან დაიწია, რომ უფრო კარგად გაესინჯა ეს უც-ნაური მეფე.

— სად არის შენი გვირგვინი, პორფირი და სკიპრია? რათა ხარ ქალამნებითა?

— მე უპირველესად მუშა ვარ, და რა მოსახერხებელია მუშაობა სამეფო გვირგვინ-სამკაულითა?!.

— კარგი მეფე ყოფილხარ, თუ მიწასა ჰენავ! შენს ქვე-შევრდომებს უკეთესი მეფე უნდა ჰყავდეთ. შემიშვი ქალაქში, მე ვიქნები მათი მეფე.

— რა ანგარიშია შენთვის აქ მეფობა? ჩვენ ღარიბნი ვართ, არა გვაქვს არც ოქრო, არც ძვირფასი ნივთები, რომ ჩვენგან ხარკი აიღო.

— მე მსურს — ჩემი კანონებით იცხოვროთ, — მიუგო მძლე-ველმა მეფემ.

— ამათ თავისი კანონები აქვთ, უკეთესი არ უნდათ. პი-რველი კანონია — შრომა, მეორე ურთიერთის სიყვარული და დახმარება, მესამე — უშიშრობა; არავისი და არაფრისა არ ეშინიანთ.

— მე სხვა კანონებიცა მაქვს და, გარდა ამისა, მაინც ჩემი ეშინოდეთ.

— ეგ შეუძლებელია, — მიუგო მოხუცმა.

— ვნახოთ! მომეცი გასაღები!

ვერ მოგცემთ.

— მაშ, უნდა მოკვდე.

— მომკალ და შემდეგ წაიღე. — უთხრა მართალთა მეფემ.

ამ დროს ერთმა ჯარის კაცმა ჩაჰურა ხანჯალი და მოკლა მოხუცი მეფე.

მკვდარს ამოართვეს გასაღები ქალაქისა და შევიღნენ.

ქალაქის მეიდანზე შეგროვილიყო ხალხი. გამოვიდა მოკლულ მეფის ვაჟი და დაეკითხა, რა გნებავთო.

— მე მსურს, რომ შენმა ხალხმა მიმიღოს მეფედ და ჩემი კანონებით იყოს, — მიუგო მძლეველმა მეფემ.

— არ დაგეთანხმებიან, — მოახენა მეფის ვაჟმა.

განრისხდა ამ სიტყვებზე მეფე მძლეველი და უბრძანა და-

ედოთ ბორკილი მეფის ვაჟისათვის, გაეგზავნათ საჩქაროდ თავის სამეფოში და იქ ციხეში ჩაესვათ. ოვით მეფე კი დარჩა აქვე; უბრძანა სარჩობელას ამართვა მეიდანზე; შემდეგ დაეკითხებოდა თვითოულ კაცს, თანახმა ხარ თუ არა მიიღო ახალი კანონებით და, ვისგანაც უარს მიიღებდა, მაშინვე არჩობინებდა; ამ რიგად დაარჩობინა მთლად ამ პატარა სამეფოს მცხოვრებნი. დარჩა მხოლოდ მეფის შვილი, რომელიც მიიყვანეს მძღველთა სამეფოში. როცა ციხეში მიჰყავდათ, მეფის ასული იჯდა თავის სასახლის ფანჯარასთან, დაინახა შებორკილი ყმა-წვილი და იკითხა მისი ვინაობა; როცა გაიგო, ვინ იყო და რისთვის იყო დასჯილი, ძლიერ გაუკვირდა. თავის სიცოცხლეში არ ენახა მამის მოწინაღმდეგე და მოისურვა მისი ნახვა.

მეფის ვაჟი იწვა დამპალ ჩალაზე ციხეში. ამ დროს მოესმა კარების გასაღების ჩხარუნი, წამოიწია, ეგონა ჩემი მეგობრები მოვიდნენ სანახადათ და ძრიელ გაუკვირდა, როცა დაინახა მდიდრულად მორთული მშვენიერი ქალწული. ორივენი ერთმანეთს განცვითრებით შესცემროდნენ ცოტა ხანს, ქალმა პირველმა დაიღაპარა:

— მე მეფის ასული ვარ, მოვედი შენ სანახავად, მითხარ, რა გსურს. ახლავე უბრძანებ ჩემს მსახურებს მოგიტანონ ყოველივე.

— არათერი არა მსურს, ყველაფერი მაქვს; პური და წყალი, ჩალა-ლოგინად, მხოლოდ თავისუფლება მწყურია და მისი მოცემა შენ ხელთ ხომ არ არის?

— მამა ჩემი მოგანიჭებს თავისუფლებას, თუ მის კანონებს მიიღებ და დაუმორჩილდები.

— თუ არ დავმორჩილდი?

— უთუოდ სიკვდილით დაგსჯის, — წაიჩურჩულა ქალმა.

— თუ მაგრეა, ბევრ ხანს არ დამრჩენია სიცოცხლე, — დამშვიდებით სთქვა ვაჟმა.

მეფის ასულს ძრიელ გაუკვირდა, როცა დაინახა, რომ

ასეთი ახალგაზრდა კაცი ისე დამშვიდებით ლაპარაკობს მარტინ გურიას განვითარებას დილზე, თითქო არ ენანება სიცოცხლის დაკარგვაო.

— არ გეშინიან სიკვდილისა?

— არაფრისა არ მეშინიან, — უთხრა ყმაწვილმა.

— მოწყენილობისა? — დაეკითხა ქალი.

— რისა? მოწყენილობისა? ჩვენს სამეფოში არავის არ გაუგონია, რა არის მოწყენა, მოწყენილობას აღვილი იქა აქვს, სადაც უსაქმობაა; ჩვენს კანონებში კი გვიწერია: ყველაზ უნდა იშრომოს და ყველა მოეხმაროს ერთმანეთს, ჩვენ ამ კანონს წესიერად ვასრულებთ და დრო არა გვაქვს მოწყენისათვის.

დაფიქრდა მეფის ასული და ცოტა ხანს შემდეგ უთხრა:

— მიამბე, რა კანონები გაქვთ და როგორ სცხოვრობთ?

ხელმწიფის შვილმა უამბო, თუ როგორ დუღდა დილი-დგან სალამომდის მუშაობა მართალთა სამეფოში, როგორ უყვარდათ ყველას ერთმანეთი, მთელი ერთ როგორ ცხოვრობდა მეგობრულად, ვით ერთი ოჯახი; მტერი თუმცა ხშირად მოდიოდა ჩვენთან საომრად, მაგრამ ვერ იმორჩილებდა ჩვენს ერს ვერც ვერცხლით, ვერც იქროთი, ვერც ცეცხლით და ვერც მახვილით, ვერც საშინელ სასჯელით, იმისოფელს რომ ხალხს არაფრისა არ ეშინოდათ; მათ-შორის, შურს, მტრობას აღვილი არა ჰქონდა არასოდესო.

— გიყვარდათ და არაფრისა გეშინოდათ? — გაიმეორა მეფის ასულმა და საჭე გაუბრწყინდა.

როცა ქალი ციხიდგან სასახლეში დაბრუნდა, ყველა გაკვირვებით შესცეკროდა და ამბობდნენ: „მწუხარებამ გაიცინაო.“

როდესაც მეფე დაბრუნდა შინ, პირველად ის ზხარეს, შენმა ქალმა გაიცინაო.

გახარებული მეფე შევიდა ასულთან, ქალი გაბრწყინვებული დახვდა, შემოეგება მამას, გადაეხვია და უთხრა:

— მამავ, რატომ საჩუქარი არა მომიტანე რა?



৩৬৭৩৩৮০

303-50000033

— არაფერი ძვირფასი არ ჰქონდათ, ჩემი კარგო, გაოდა  
უბრალო თეთრ ტილოს სამისელისა.

— თუ სხვა არა იყო რა, ის თეთრი ტილოს სამოსელი  
მაინც მოგეტანა!

მეფემ საჩაროდ გაგზავნა კაცი და მოართვეს მეფის  
ასულს თეთრი სამოსელი, ორგორსაც იცვამდნენ მართალთა  
სამეფოში.

ქალმა სთხოვა მამას, მიეცა მისთვის ნება დასწრებოდა ხელმწიფის ვაჟის გასამართლებას. მეფეს, თუმცა ძრიელ გაუკვირდა, უარი ვერ უთხრა, რადგან ეშინოდა, ვაი თუ კიდევ მოიწყინოს.

დადგა გასამართლების დღე. ოქროს ტახტზე იჯდა მძღვ-  
ველი, მარჯვნით უჯდა თავის მრჩეველი მოხუცი, მარცხნით—  
მშვენიერი ასული.

ქალს ეცვა გრძელი სამეფო ხავერდის პორტირი, თავზე მარგალიტების გვირგვინი ედგა. სახე ისე ჰქონდა მოღრუბლული, როგორც შემოდგომის დღე.

## შემოიყვანეს ოუსალი.

მეფე იჯდა სასტკიკი, მრისხანე, წარბეგ-შეკრული; ხელ-მწიფის ვაჟი კი იღვა მის წინაშე წყნარი, ბრწყინვალე, რო-გორც ზაფხულის მზიანი დღე.

— უარ ჰყავ შენი კანონები და გაგანთავისუფლებ,—  
უთხრა მეფემ.

— არასოდეს! — უპასუხა ვაჟმა და გააქნია თვეი. ჯაჭვი  
ხელებზე შეინძრა და წკრიალი დაიწყო, თოთქო იმანაც სთვეა  
„არაო.“

მეფე აენთო სიბრაზით.

— მე შენ გაწამებ შანთითა და ცეცხლით, თუ არ უარ ჰყოფ შენ კანონებს.— და უბრძანა გაყევანათ; ჯალათმა გაი ყვანა. დიდ ხანს აწამეს საწყალი. როცა შემოიყვანეს, ძლიერ მოდიოდა, სახე მაღარფაქივით გადაფიორებოდა.

— აბა, ახლა რაღას იტყვი? — ჰკიოხა მეფემ.

— არა, უარს არა ვყოფ! — ძლივს წაილაპარაკა საშუალება გადასახლება; წამებას ისე დაესუსტებინა, რომ ძლივს ღა ლაპარაკობულა, მაგრამ თვალები ვარსკვლავებივით უბრწყინავდნენ. თან პირ-დაპირ უცქეროდა მეფის ასულს.

მეფეს შეებრალა ყმაწვილი და უთხრა:

— თუ უარს ჰყოფ, იცოდე, ნახევარ სამეფოს მოგცემ; თუ არა და — თავს მოგკვეთავ ამ ხმლითა.

მეფემ აიღო ხმალი და ამართა მეფის ვაჟის თავზე.

მეფის ასული თვალს არ აშორებდა ყმაწვილს: ძლიერ ეცოდებოდა ყმაწვილი, მაგრამ იმისი უფრო ეფიქრებოდ, ვაი თუ შეშინდეს და თავის ჩრდენას უღალატოსო.

მაგრამ ყმაწვილმა მოიკრიბა უკანასკნელი ღონე და ხმა-მალლა წარმოსთქვა:

— არა!..

განრისხებულმა მეფემ თავის ხელით ჩისცა გულში ხან-ჯალი. მიუბრუნდა თავის მეგობარ მოხუცს და უთხრა:

— შენ არ მითხარი, არ შეიძლება დამორჩილება მარ-თალთაო! აი, ახლა ხომ ჰედავ. რომ უკანასკნელი მათგანი კვდება ჩემის ხანჯლით.

უეცრად წამოდგა მეფის ასული თავის ადგილიდგან, გა-დიძრო სამეფო სამოსელი და დადგა მამის წინ თეორ ტილოს კაბით, ისეთით, როგორიც ეცვათ მართლთა სამეფოში.

— სცდები, მამავ, შენ უკანასკნელი მათგნი არ მოგი-კლავს; თუ გსურს შენი გახზრახვა შეასრულო, ი, ჩემი გუ-ლი, ესეც განგმირე მახვილით და მაშინ მოისპობა ის სამე-ფო. მე ვარ მეუღლე შენგან მოკლულის ხელმწიფის შვი-ლისა; მეც ისევე, როგორც ეს, მზადა ვარ მოვკვდე ჩემის კანონებისათვის!

— ომ, უბედურო ჩემო თავო! — საშინელის ტანჯვით წარმოსთქვა მეფემ.

— თუ ჩემი ღვიძლი შეილი მღალატობს, განა კადევ ღირს ჩემი სიცოცხლე!



ଅମ ସିତ୍ୟବ୍ୟେଦତାନ ଏହତଃଦ ହାଇରା ପୁଲଶି ଶାନ୍ତିବାଲି ଫ୍ରାଙ୍କରିଯା  
କ୍ଷେତ୍ରା ମେତ୍ୟେ, ଥିଲ୍ଯେବ୍ୟେଲି ପୁନ୍ୟେଲତା; ମିଳ ସାମେତାରୁଷ ମାରତାଵଦା ମିଳିଲ  
ଆସୁଲି ଲେଖିଲେଖି ମଧ୍ୟ କ୍ରିନ୍ଦନ୍ଦିବିତ, ଲାଗେଲିପ୍ରାଣ ଆଶ୍ଚିରାଜା ମିଳିଲା  
ଦେଇଲାଲେଖି.


ପ୍ରକାଶାନି ଅମ ସାମେତାଶି ଶ୍ରେଷ୍ଠମନ୍ଦ କମାପୁନତ୍ତିଲିନୀ ଲା ଦେଇନି-  
ଏବନ୍ତି. ବ୍ୟାପାର ଥିଲେରି ଲାଗୁପ୍ରେମନିଦାତ ବ୍ୟାଲିମ୍ବେ, ମାଗରାମ ପ୍ରେରାବ୍ୟବିନ  
ପ୍ରେର ମନୋରହିଲେଖଦା, ମନୋରହିଲେଖଦା, ମନୋରହିଲେଖଦା ପ୍ରେରିଲେଖଦା ମନୋ-  
ବ୍ୟାପାର, ପ୍ରେରିଲେଖଦା ଏଜନ୍ଦବ ପ୍ରେରିଲେଖଦା, ମାଗରାମ ମନୋରହିଲେଖଦା କି  
ପ୍ରେରାଫରିତ ପ୍ରେର ଲାଗୁମନୋରହିଲେଖଦା...

୭୩



## მონადირე და ხოხობი.

(იგაწი).



ონადირემ ღამე ხის ტოტზედ ფრინველი  
შენიშნა, თოფი ესროლა და მოჰკლა.

როცა ძირს ჩამოვარდნილი ხელში  
აიღო, ბუ აღმოჩნდა.


— ფუ, დალახვრა ღმერთმა! — სთქვა წყენით მონადირემ, —  
ტყუილად დავკარგე ერთი სროლა ტყვია-წამალი, მე სულ  
სხვა მეგონა და ეს დიდ-თავა მიკიოტი-კი ყოფილა.

— ნუ გენანება ტყვია-წამალი, — გამოეპასუხა იქვე მეო-  
რე ხეზედ მჯდომარე ხოხობი, მაგისთვის ახია, რაც დაემარ-  
თა; მოსვენებას არავის აძლევდა, ყველა ააწიოკა, ბუდე არ  
გადურჩა, რომ ერთის ბარტყისთვის მაინც თავისი ბასრი ნის-  
კარტი არ გაეკრა.

— ბიქოს, — სიხარულით წამოიძახა მონადირემ, — ბუ რომ  
არ მომეკლა, ხომ არც ეს ხოხობი გამოჩნდებოდა!


მერე თოფს ტუჩი მიუბრუნა, მიზანში ამოიღო, არა-  
მკითხე ხოხობი მსწრაფლ წუთი-სოფელს გამოასალმა და, მხარ-  
ზედ გადაკიდებული, სიამოვნებით სახლისკენ გამოაცუხცუხა.

ალ. მირიანაშვილი.



# პ ი მ ი ა.

ჰაერი.



აერის შემადგენელი ნაწილები: გადა-  
ვიდეთ ახლა ჰაერზე. წინად გითხარით  
რომ ჰაერში არის უანგბადი. ეს გაზი  
ანთებს წყალმბადს და მასთან ერთად  
აჩენს წყალს. სწვავს გოგირდს და მას-

თან აჩენს გოგირდის გაზს. ჰაერში, უანგბადის გარდა, სხვა  
გაზებიც არის გამქრალი წუმწუმა ხომ არ ინთება ჰაერში?  
წმინდა უანგბადში კი მაშინვე ინთება, სხანს ამ გაზის გარდა  
ჰაერში კიდევ სხვა ნივთიერებანიცაა, რომელიც უშლის წუმ-  
წუმას ნთებას. მართლაც, ჰაერში უანგბადს მხოლოდ მეხუთე-  
დი ნაწილი უჭირავს, სხვა დანარჩენ, ოთხ-მეხუთედი ნაწილი  
აზოტია. ჰაერში სხვა რამდენიმე გაზიც არის, მაგრამ ისეთ  
უმნიშვნელო მცირე ნაწილს შეადგენს, რომ შეუცდომლად  
შეგვიძლიან ჩავთვალოთ ჰაერის შემადგენელ ნაწილებად ოთხი  
მეხუთედი აზოტისა, და ერთი მეხუთედი უანგბადისა

**აზოტი.**— პავლე, როგორ შეიძენდი ჰაერიდგან აზოტს?  
— ჰაერიდგან ავიღებდი მთლად უანგბადს და ჰაერში მარტო  
წმინდა აზოტი დამრჩებოდა.— ვერ მივხვედრილვარ, რა გზით  
მოახერხებდი მაგას?— ჰაერს მიუმატებდი წყალმბადს და ავან-  
თებდი. უანგბადი წყალმბადს შეუერთდება, წყლად გადიქცევა  
და ჰაერში აზოტი დამრჩება.— მშვენიერი აზრია. ქიმიკოსებიც  
ეგრე იქცევიან, მაგრამ ჩვენ ეგ ხერხი არ გამოგვადგება, რად-  
განაც ამისთვის დაგვჭირდება ქიმიის ძეირფასი იარალი. ხომ

იცით, რომ წყალბადი, უანგბადთან შეერთების დროს უკავშირდება და მოვათავსოთ ისეთ მაგარ ჭურქელში, რომ აფეთქების დროს არ დაიმსხვრეს. მაში, სხვა საღსარი მოვძებნოთ. აი, მგონი, სანდრომ რაღაც მოიგონა? — გახსოვთ ის ცდა, როდესაც წყალზე მცურავ ნაფოტედ დავდეთ გოგირდი, ავანთეთ და ზედ ჭიქა გადავაფართ? წვის დროს გოგირდი შეუერთდა უანგბადს, ცდის შემდეგ ჭიქაში წინანდელზე ნაკლები ჰაერი დაგვრჩა, აი ეს ჰაერი იყო აზოტი.

— კი, შენ კარგად ახსენი. მაგრამ, აი, უბედურება: გოგირდი ჰაერიდგან მთლად უანგბადს არ იღებს. გოგირდი ჭქრება მაშინ, როდესაც ჰაერში კიდევ არის უანგბადი, გოგირდის წვით უანგმბადში მხოლოდ დაცოცავდა. გოგირდის ბადლად უნდა ავიღოთ უფრო მნთებარე ნივთიერება — ფოსფორი.

**ჰაერიდგან აზოტის გამოწილადობა ფოსფორის შემწეობით:** აქა მაქვს ფოსფორის ნაკერი და წყალში მიჰირავს რადგანაც ფოსფორი მგზნებარე ნივთიერებაა; ჰაერი რომ ეხვიოს, ბჟუტვას დაიწყებს და აინთება. წავიდეთ ბნელ ოთახში, ჯერ იქ გავშინჯოთ ეს ნივთიერება. ამჩნევთ, როგორ ანათებს? ამისთანა ნათელი წინადაც გვინახავს; როდესაც ბნელ კედელზედ წუმწუმას გავკრავთ, ამისთანა ნათელს ზოლს სტოვებს. წუმწუმას თავს, გოგირდის ზემოდგან, ფოსფორი უსვია და მერე ისევ შეღებილი სხვა და სხვა ფრად. სიტყვა „ფოსფორი“ ბერძნულია, პინშნავს „სინათლის მომტანს“. ვინ მოიფიქრებს, რომ ასეთ სასწაულ მოქმედს, ნივთიერებას — ფოსფორს — იდენტენ სანაგვეზე გადაყრილ ძვლებისგან. აბა, წავიდეთ ისევ სასწავლო ოთახში და მივმართოთ ცდას. უკვე იცით, ჭოგორც უნდა მოეწყოს ეს ცდა: ვდებ ფოსფორს სურის ნატეხზე, სურის ნატეხს — ნაფოტზე, რომელიც წყლიან ბადიაში ტივტივებს. მერე ვანთებ ფოსფორს, მის ასანთებად საკმარისია მივაკაროთ ცხელი ნემსი. ნემსის მიკარებაზე, ფოსფორს ვახურამ



ურუკულები

ჰისტორიუმი

ჭიქას. ფოსფორი იძლევა ლამაზ, ცისფერ აღს, და ვე ავსებს ჭიქას თეთრ სქელ ბოლით. რადგანაც ანებული ფოსფორი დიდ სიცხოველეს ჰყენს გარშემო, ჭიქაში ჰაერი ჯერ პირველად გაგანიერდა, წყალი ძირს დაიწია. შემდეგ ფოსფორი ჰქონდა, ჰაერი ცივდება და წყალი ისევ მაღლა ადის. ჭიქაში ბოლიც აღარა სჩანს და შიგ მხოლოდ ცარიელი აზოტი დარჩა. და, მართალია, არის უანგბადიც, მაგრამ ძალიან მცირე ნაწილი. ამ უანგბადის განცდევნა ძალიან ადვილია: ამისათვის საქმარისია, — ოდნავ მნათობელი ფოსფორი, ვიდრე სინათლე კადევა აქვს, ხელუხლებლად დავტოვოთ. სინათლე იმას ამტკიცებს, რომ ფოსფორი კიდევ იწვის, წვის დროს კი, როგორც იცით, ჰაერილგან იღებს უანგბადს. ფოსფორი ჭიქაში ბუუტავს, ბუუტავ არის ნელი წვა. წვა სხვა და სხვა ძალით სწარმოებს, მაგრამ არსებით კი, ეს სხვა და სხვა ძალა ერთს წარმოადგენს: ყოველი წვა ის არის, რომ ამ პროცესის დროს, ნივთიერება უერთდება უანგბადს.

### უანგბადისა და ფოსფორის შენაერთები:

— ეხლა, ცდით მიღებულ აზოტილგან ვაწარმოვოთ ახალი ცდა, მაგრამ, მიხა, ჯერ ეს მითხარი, რა მოუვიდა ფოსფორს?

— ფოსფორი უანგბადს შეუერთდა, ისე როგორც გაგირდა.

— მართალია. რა გამოვიდა მაგ შეერთებისაგან?

— თეთრი, სქელი ბოლი, ჭიქა რომ გაავსო ისა. ეს ბოლი, უეჭველია, ფოსფორის გაზი იქ ნება, რადგანაც მაშინ, გოგირდის უანგბადთან შეერთებისგან მივიღეთ გოგირდის გაზი...

— მოიცა, მოიცა, წინ ნუ გარბიხარ! ჯერ ერთი ისა, რომ გოგირდისგან, გაზი კი არა, მაგარი ნივთიერება მივიღეთ; მეორე ისა... რა იქნა ჩვენს ცდაში გოგირდის გაზი?

— გაზი გაიხსნა წყალში და ამიტომ წყალი გამჟავდა.

-- სწორედ ეგრე იყო. მეც იმიტომ გითხარი, რომ უკავშირდება გირდის გაზს ეძახიან გოგირდის სიმჟავეს. ამ ცდაში კი, ფოსტორისაგან მივიღეთ თეთრი მაგარი ნივთიერება...

— ახლა კი მესმის! ეგ ნივთიერება არის ფოსტორის სიმჟავე. სიმჟავე გაიხსნა წყალში და წყალი, უეჭველია, დამჟავდებოდა.

— შენ კიდევ წინ გარბიხარ და მეც აღარ მაცდი. დისლ, თეთრი ბოლი გაიხსნა წყალში, მაგრამ ეს ბოლი ფოსტორის სიმჟავე კი არ არის, როგორც მიხას ჰერნია; ამ ბოლს ფოსტოროვან სიმჟავეს ეძახიან. თუ გინდათ, გაშინჯეთ გემოთი წყალი. თვითონ ბევრი საწამლავი ურევია, მისი სიმჟავე კი სრულებით უვნებელია. წყალი მართლაც გამჟავებულა. მაშა დაიხსომეთ, ის თეთრი ბოლი, რომელიც ავარდა ანთებულ ფოსტორს, იყო ფოსტოროვანი სიმჟავე, მაგარი ნივთიერება და არა გაზი, როგორც მიხამა სთქვა და ამასთან არა ფოსტორისა... რა იყო, რას გაკვირდით?

— რად ამბობთ გოგირდზე, გოგირდის სიმჟავე, ფოსტორზე კი— ფოსტოროვანიო?

— ჰოო, აი, თურმე რამ გაგაკვირვათ? საქმე სიტყვების დაბოლოება ყოფილა: გოგირდის ფოსტოროვანი. ამ განსხვანებას თავისი მნიშვნელობა აქვს: გოგირდი, ფოსტორი და სხვა ნივთიერებას, შეუძლიან შეიტოოს ქანგბადი მხოლოდ განსაზღვრულ რაოდნობისა. მაგრამ ამ შენაერთს, ამ როტულ ნივთიერებას თავის რიგზედ კიდევ შეუძლიან ქანგბადი შეიტოოს, პირველ შეერთებისაგან შესდგება ერთი სიმჟავე, მეორესგან მეორე. რასაკვირველია, მეორე სიმჟავე უფრო მეტ ქანგბადს შეიცავს, ვიდრე პირველი. აი, ესეთ სიმჟავეს სახელი, რომელიც ნაკლებ ქანგბადს შეიცავს, ბოლოვდება — „ის“ ზე. მაგ. გოგირდის სიმჟავე, ფოსტორისა და სხვა ისეთი სიმჟავეს სახელი კი, რომელშიაც ბლომად არის ქანგბადი, ბოლოვდება — ოვანთი მაგ. გოგირდოვანი ფოსტოროვანი და სხვ.



**ქიმიკოსების ენა:** როგორც ჰედავთ, ქიმიკოსებს უნდობულია  
ვართ ბევრი სიტყვების ხარჯვა და სცდილობებ ბევრი რამ ერ-  
თის სიტყვით გამოსთქვან. ეს კიდევ არაფერი! ხან და ხან სრუ-  
ლებითაც არ ხარჯვენ სიტყვებს, მათ მაგირ სწერავენ მხო-  
ლოდ ერთ ასოს. მის ბადლათ, რომ დასწერონ ფოსფორი, ამ  
სიტყვას აღნიშნავენ ლათინურის ასოთი P. აზოტი აღნიშნუ-  
ლია N.ით. უანგბადი—G. წყალბადი—H. წყალი—HOH. აბა,  
ჩაუფიქრდით, რა მოკლედ არის ნათქვამი: HOH,—მორჩა და  
გათავდა. ამ სამი ასოთი კი აღნიშნულია, რომ წყალი შესდ-  
გება უანგბადის და წყალბადისაგან, რომ პირველი გაზი ორ-  
ჯელ ნაკლებია მეორეზე. ბევრი კიდევ სხვა ნივთიერებანი არი-  
ან აღნიშნულნი ასოებით, მაგრამ ჩვენ ამას არ გამოუდგებით,  
რადგანაც ქიმიკოსები არა ვართ; სჯობიან ისევ აზოტს დაუბ-  
რუნდეთ.

**აზოტის ოვისება:** აზოტი შევაგროვეთ წყალზე დამხო-  
ბილ დიდ ჭიქაში. აბა ვნახოთ, წყალმბადივით იწვის ან უანგ-  
ბბადივით შველის წვას თუ არა. ვან-  
თებ კვარს, ვწევ ჭიქის პირს, და ჭი-  
ქის უახლოვებ ცეცხლსა, არავითარი  
მოქმედება ცეცხლისა არა სჩანს. შევდებ  
კვარს ჭიქაში; ცეცხლი იმ წამსვე ჰქერება აზოტში, ისე რო  
გორც წყალში. ისე გააქრო, რომ შერთი ბეწვა ცეცხლიც კი  
არ დაარჩინა. რა გავიგეთ ამ ცდითა, ვანო?



— აზოტი თითონ არ იწვის და ცეცხლსაც აქრობს.

— პირველი აზრი სწორეა; მეორე არა აზოტი სულაც  
არ აქრობს ცეცხლსა. კვარი ჰაერში ანთია, ჰაერში კი ბლომად  
არის აზოტი,—კოტე იქნება შენ ამიხსნა, რაშია აქ საქმე?

— კვარი აზოტისგან კი არ გაჰქრა, უანგბადი დაკლდა  
და იმიტომ. აზოტი არ უშლის კვარს წვას როდესაც მის გარ-  
და ჰაერში ბლომად არის უანგბადი, მაგრამ თითონ კი არ  
შველის წვასა.

— ი, ეგ მართალია. მაშასადამე, აზოტი თითონაც არ

იწვის და არც ჰუკელის წვის. ეს კი იმას ჰნიშნავს, რომ უკავებები გადაიტოვა. ტრანსფერი არც ჟანგმბადს და არც მნთებარე ნივთიერებად არ უერთდება. აზოტი არც სუნთქვისთვის არის საჭირო. ჩვენ რომ ისეთი სისასტიკე გამოვიჩინოთ, თაგვი აზოტით სავსე ყუთში შევამწყვდიოთ, თაგვი ერთს წუთს გაისუნთქება.

— მაში, როგორც ეტყობა. აზოტი მავნე გაზია. იმდენიც კი ჰაერში!

— ვანო, შენ კადევ შეცდომას იმეორებ მავნებელი აზოტი კი არ არის, მავნებელი უანგბადის ნაკლებობაა.

— მაგრამ, მასწავლებელო, მაინც უკეთესი იქნებოდა, ჰაერში აზოტი არა ყოფილიყო, რომ მხოლოდ უანგმბადით გვესუნთქა?

— აი, კიდევ სცდები. ცარიელ უანგმბადში თაგვი უფრო მაღლე მოკვდებოდა, სანამ უერნგმბადო აზოტში. წმინდა, შეუზავებელი უანგმბადი საწამლავივათ ერთს წუთს მოჰკლავს აღამიანს.

**ჰაერი არ არის ქიმიური შენაერთი:** მე ვითხურით, რომ ჰაერის ერთ მეხუთედს შეადგენს უანგმბადი, სხვა დანარჩენ ოთხ მეხუთედს — აზოტი. ეს ჩემი ნათქვამი ცოტათი მართალი არ არის. ჰაერის 1000 ნაწ. (სივრცით რომ ავილოთ და არა წონით). აზოტისა 792 ნაწილი მოდის. უანგმბადისა კი 208 ნაწილი. რომ გამოვიანგარიშოთ, აზოტის სამ ნაწილზე, უანგმბადისა ერთი ნაწილი მოდის. მაგრამ არც ეს არის სწორე. ჰაერის შენადგენის გამოსაკვლევად, მეათასე და მეათიათასე ნაწილებით მოგვინდება ანგარიში. აქედანვე სჩანს, რომ ჰაერი ორის გაზის უბრალო ანარევია და არა ქიმიური შენაერთი, რადგანაც ნამდვილი ქიმიური შენაერთი უბრალოდ, ნათლად არის შედგენილი. მაგალითად ავილოთ წყლის შენადგენი: წყალმბადის ორ ნაწილზე უანგმბადის ერთი ნაწილი მოდის; წყალმბადი ორჯელ მეტია უანგმბადზე. საზოგადოდ, როდესაც ორი გაზი ქიმიურათ უერთდება ერთმანეთს, ერთის გაზის ორ ნაწილზე, ვსთქვათ, მოდის მეორე გაზის ერთი, ან



ურუანული

ორი, სამი, ოთხი ნაწილი. და არა ათასი და ათი ჰამატიშიამზა  
დვილი ქიმიური შენაერთი, ძალიან უბრალოდ არის შედგენი-  
ლი, ჰაერი კი, როგორც ვნახეთ, სულ სხვა სურათს წარმო-  
ადგენს. შეგვიძლიან უანგმბადისა და აზოტის ნამდვილი ქიმი-  
ური შენაერთი მივიღოთ. ამისთვის საჭიროა ჰაერში ელექტ-  
როს ნაკადი გავატაროთ. ჰაერისგან ამ გვარად ხუთ ქიმიურ  
შენაერთს მივიღებთ. ეს ხუთი შენაერთი, ისე არის შედგენი-  
ლი, როგორც გითხარით: აზოტის ორი ნაწილი უანგმბადის  
ერთ ნაწილს იერთებს, მერე—მეორეს, მესამეს, მერე მეოთ-  
ხედს, მერე მეხუთედ ნაწილს. რთული გაზი, მიღებული ორ  
ნაწილ აზოტისა და უანგმბადის ხუთ ნაწილის შეერთებისგან,  
იერთებს კიდევ წყალს და მასთან ერთად ადგენს აზოტიურო-  
ვანს სიმჯავეს; ამ სიმჯავეს, ჩვეულებრივ მაგარ არას უძახიან;  
გემოთი ძალიან ცხარეა და მწველი. მაშ ესე: ჰაერი არის უბ-  
რალო ანარევი და არა ქიმიური შენაერთი. ანარევი შესღე-  
ბა აზოტისა და უანგმბადისაგან, რომლებიც ჰაერში ინარჩუ-  
ნებენ თავიანთ თვისებებს, მაგრამ ისე ჩქარა ვერ მოქმედებენ,  
როგორც ცალ-ცალკე. ჰაერში აზოტი იმდენად ბევრია, რომ  
შეგვიძლიან ვსოქვათ, ჰაერი არის უანგბადით შეზავებული  
აზოტი. აზოტის გარდა, ჰაერში კიდევ მრავალი სხვა და სხვა  
ნივთიერებაც არის; როდესაც წყალი დუღს, ორთქლი  
მიღის მაღლა და ერევა ჰაერს; როდესაც ხე იწვის, მისი დამ-  
წვარი ნივთაერება, სხვა და სხვა გაზის სახით, ერევა ჰაერს.  
ყველა ამ შენარევს, ჰაერში ძალიან პატარა ადგილი უჭირავს,  
მთელის სივრცის ესე, მეათასე ნაწილი, მაგრამ მაინც, მისი  
მოქმედება დიდად მნიშვნელოვანია.

### 6. ლომაური.

(შემდეგი იქნება).

